# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge






იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბედ-ნიერი სიცოცხლეა, ცუდილებით და ჭირებით ბედ-ის გაცანა ყველა ქართველობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 25 ოქტომბერი. 2017 წ. №219 (8356), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.


# არჩევნები დამთავრდა...

## არჩეულთა გამოცდა იწყება!

ჯოჯოხეთია მოსაგონებლად!..

## მარადიული კამათი



ჯალათებსა და მსხვერპლზე (3)

დიდი ტერორი აფხაზეთში

„რეფორმატორული“ წინადადება სილატაკის დასაძლევად... (4)



## მივეჩვიოთ მილიონებს!

## მტკნარი სიცრუეა, თითქოს ბათუმელებს მწვანე კონცხის პლაჟს ჩაუკეტავენ! (15)

„რეალ“-ურ ტალღაზე



(14)

რეზო ამაშუკელი

„როცა ახლოა მზე შემოდგომის“ (5)



საოცრებები მედიცინაში

გერმანელი ონკოლოგის რევოლუციური მიგნება



(7)

## კიბოსგან განკურნებული 6 000 პაციენტი

## მითი... მობილურ ტელეფონზე (15)

ნუგზარ ფოფხაძე

დავით სალარიძე – (6)

## შეუშლელი კაცი!



## ავანტიურისტო მელია, ამდენი ტყუილი ვინ გასწავლა?!



ნიკა მელია სხვა ოპოზიციურ პარტიებს, რომლებიც მეორე ტურში მონაწილეობენ, ბოიკოტის გამოცხადებისკენ მოუწოდებს:

**„ახლაც კი, მარტვილში „ქართული ოცნება“ ყველაფერს აკეთებს, რომ მათთვის სასარგებლოდ გადაწერონ შედეგები. „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა თავიანთ წარმომადგენლებს უჩივლეს, რათა მოხდეს დალუქული ყუთის გახსნა და თავიანთ სასარგებლოდ ბიულეტენების ჩაყრა. რომელ მეორე ტურზეა საუბარი, როცა არამც თუ გუშინწინ ტოტალური დაშინებით, მუქარითა და შანტაჟით ჩატარდა არჩევნები, არამედ დღესაც კი მიმდინარეობს შედეგების გაყალბება. ბრძოლა იწყება ახლა, რომლისაც უნდა ეშინოდეს „ქართულ ოცნებას“. ვფიქრობ, ყველა ოპოზიციური პარტია, თუკი არის ასეთი, მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას — არ მიიღებს არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობას და არ ჩავერთვებით ბიძინა ივანიშვილის თამაშში“,** — აღნიშნა ნიკა მელიამ.

კითხვაზე, აპირებს თუ არა ის საკრებულოში შესვლას, პარტიის ლიდერმა აღნიშნა, რომ მას ამაზე დასაფიქრებლად 2 კვირის ვადა აქვს.

## „მარადმწვანე“ დემაგოგი ამჯერად მართალს ამბობს!



**„სრული პოლიტიკური უფლება გვაქვს, რომ ეს გადაწყვეტილება შევაფასოთ, როგორც სერიოზული შეცდომა და ირიბი ხელშეწყობა ივანიშვილის გუნდისთვის დაინერგოს უიმედობა არჩევნების მიმართ“** — აცხადებს „ევროპული საქართველოს“ ლიდერი გიგა ბოკერია „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, სადაც მათ თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს:

**„ეს გადაწყვეტილება არის სერიოზული შეცდომა. ჩვენ ყველას გვაქვს საფუძველი აღშფოთების იმ ინსტრუმენტების გამო, რასაც „ოცნება“ იყენებს საარჩევნოდ და მთავარი ინსტრუმენტი მათი არის უიმედობის დანერგვა არჩევნების მიმართ. ჩვენი გადაწყვეტილებებით, დემოკრატიულმა ოპოზიციამ არ უნდა შევუწყოთ მათ ხელი. „ევროპული საქართველოს“ პოზიცია იყო და არის, რომ ჩვენ ვაპირებდით მხარდაჭერას ნებისმიერი პროდასავლური კანდიდატისთვის მეორე ტურში თბილისში, მათ შორის, ვინც არ უნდა ყოფილიყო, თუნდაც ზალიკო უდუმაშვილი. გაუგებარია, როცა ყველა ამას ვაპირებდით, მათ შორის, ნაციონალური მოძრაობაც, ქუთაისი რატომ უნდა იყოს გამონაკლისი, სადაც ოპოზიციამ მეტი ხმის შეგროვება-შენარჩუნება შეძლო. სამართლებრივად ეს ნაციონალური მოძრაობის გადასაწყვეტია და ამაში ვერავინ ჩაერევა, თუმცა მეორე ტურები მხოლოდ მათ არ მოუპოვებიათ — მთელმა ოპოზიციამ მოიპოვა,“** — განაცხადა გიგა ბოკერიამ.

## „პატრიოტთა ალიანსი“ არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობას მიიღებს

ადა მარშანიას განცხადებით, მათ მერობის კანდიდატს ზაზა ჩაჩანიძეს გამარჯვების სერიოზული შანსი აქვს და დაეხმარებიან, რათა ხელისუფლების სასარგებლოდ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება არ მოხდეს.

მეორე ტურში მონაწილეობას აუცილებლად მივიღებთ. უფრო მეტი მეორე ტური უნდა ყოფილიყო, რომ არა უვარგისი, უსამართლო და მზაკვრული საარჩევნო სისტემა, რომელსაც ვებრძვით. ბორჯომმა იყოჩაღა და ცხადია, ბოლომდე ვიბრძოლებთ. მიხარია, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ბოიკოტი გამოაცხადა. მიხარია, რადგან არჩევნები უფრო სამართლიანად ჩატარდება და რაღაც განცხადებებზე უფრო ნაკლები დრო და ენერგია დაიხარჯება. მიგვაჩნია, რომ ეს ე.წ. პოლიტიკური ორგანიზაცია არ უნდა არსებობდეს და მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა უნდა დაიწყოს, რომელმაც ჩვენს ქვეყანას უმძიმესი ზიანი მიაყენა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, 152 დასახლებული პუნქტი მტერს ჩააბარეს...

## ქვეყნის განვითარებისთვის ძლიერი ოპოზიცია ძალიან მნიშვნელოვანია!



**ქვეყნის განვითარებისთვის ძლიერი ოპოზიცია ძალიან მნიშვნელოვანია,** — განაცხადა პარლამენტის ვიცე-სპიკერმა თამარ ჩუგოშვილმა „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ქუთაისსა და მარტვილში მერობის არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობაზე უარის შესახებ საუბრისას:

**„მეორე ტურების რაოდენობა, ალბათ, ერთი მხრივ, განპირობებულია ჩვენ მიმართ ძალიან დიდი მხარდაჭერით და, მეორე მხრივ, ალბათ იმით, რომ ოპოზიციურ პარტიებს ძალიან დაბალი მხარდაჭერა აქვთ. ეს შედეგი პარტიულად ჩვენთვის ძალიან კარგია, მაგრამ ქვეყნის განვითარებისთვის ძლიერი ოპოზიცია მნიშვნელოვანია“,** — განაცხადა თამარ ჩუგოშვილმა.

ცესკო-ს მონაცემებით, მე-2 ტური 6 მაჟორიტარულ ოლქში ჩატარდება. „ნაციონალური მოძრაობა“ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობას არ მიიღებს.

## ლონდონის მერის შეფასებით, საქართველო რეგიონში ბიზნესისთვის ყველაზე ხელსაყრელი ქვეყანაა!

**ლონდონის სითის ლორდ მერმა ენდრიუ პარმლიმ და საქართველოს ვიცე-პრემიერმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ მანსონ ჰაუსში მისასალმებელი სიტყვებით გახსნეს მრგვალი მაგიდა ბრიტანული ბიზნესის წარმომადგენლებისთვის, რომელიც საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას და საინვესტიციო შესაძლებლობებს დაეთმო.**

ლონდონის სითის ლორდ მერის განცხადებით, მრგვალი მაგიდა აღნიშნულ ორგანიზაციაში პირველი მსგავსი ტიპის ღონისძიებაა. მისი თქმით, მისი საქმიანობის მთავარი პრიორიტეტი სწორედ სწრაფად განვითარებად ქვეყნებთან თანამშრომლობაა. ლონდონის ლორდ მერის შეფასებით, საქართველოს რეგიონში ბიზნესის საწარმოებლად ყველაზე ხელსაყრელი გარემო გააჩნია.



**„საქართველოსა და გაერთიანებულ სამეფოს შორის თანამშრომლობის დიდი პოტენციალი არსებობს. ვიმედოვნებ, რომ მსგავსი დიალოგი ჩვენს ქვეყნებს შორის რეგულარულ ხასიათს მიიღებს, რაც ხელს შეუწყობს ბიზნესკავშირების განვითარებას. საქართველო რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე ხელსაყრელი ქვეყანაა ბიზნესის წარმოების კუთხით“,** — აღნიშნა მან.

## სააკაშვილი გადატრიალებას გეგმავს!

**უკრაინის მთავარი პროკურორის ლუცენკოს განცხადებით, სააკაშვილის მომხრეები ქვეყანაში სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავენ, მაგრამ მათ ეს არ გამოუვათ.**

ლუცენკოს განცხადებამდე პოროშენკომ განაცხადა, რომ რადას წინ მიმდინარე აქციის ორგანიზატორებს ქვეყანაში დესტაბილიზაციისა და ქაოსის მოწყობა არ გამოუვათ.

## „OECD“ ევრაზიის კვირეულს ყაზახეთი მასპინძლობს

**ყაზახეთში მიმდინარე „OECD ევრაზიული კვირეულის“ ფარგლებში, საქართველოს პირველი ვიცე-პრემიერი, ფინანსთა მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი ყაზახეთის პრემიერ-მინისტრს ბაკიტჟან საგინტაევს შეხვდა.**

შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატში ქვეყნებს შორის თანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულებები. აღინიშნა დიდი პროგრესი, რომელიც საქართველოსა და ყაზახეთს შორის არსებობს ორმხრივი ვაჭრობის, ტურიზმის, ტრანსპორტის სფეროებში და სხვა. ამავე დროს, ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ ეკონომიკურ თანამ-




შრომლობას ქვეყნებს შორის გაცილებით დიდი პოტენციალი აქვს.

პირველმა ვიცე-პრემიერმა დიმიტრი ქუმსიშვილმა ყახაზეთის პრემიერ-მინისტრს გააცნო საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა, მთავრობის 4-პუნქტიანი რეფორმების გეგმა, რომლის მიზანსაც ეკონომიკური ზრდის დაჩქარება და მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფა წარმოადგენს. მან ხაზი გაუსვა საქართველოს მნიშვნელოვან პროგრესს სხვადასხვა მიმართულებით.

* * *

**„OECD (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია) ევრაზიის კვირეულის“ ფარგლებში, საქართველოს პირველი ვიცე-პრემიერი, ფინანსთა მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი აღნიშნული ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ანხელ გურიას შეხვდა.**

შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს საქართველოსა და OECD-ს შორის ორმხრივი თანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულებები. ხაზი გაესვა იმ დიდ დახმარებას, რომელიც აღნიშნულმა ორგანიზაციამ აღმოუჩინა საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგიის შემუშავების მიმართულებით. გარდა ამისა, განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა OECD-ის მონაწილეობაზე საქართველოს ეკონომიკის „მწვანე განვითარების“ სტრატეგიის შემუშავებისა და იმპლემენტაციის პროცესში, რომლის ფარგლებშიც საქართველოში ხელი შეეწყობა ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების დანერგვის და ქვეყნის მდგრადი განვითარების პროცესს.

### წერილი რედაქციას

## ეს ხდება ქალაქის ცენტრში!

**ალ. ყაზბეგის გამზირის №22-ში იყო სისხლის გადასხმის ინსტიტუტი მრავალრიცხოვანი პაციენტებით, კარგად მოვლილი ბაღით. ინსტიტუტის შენობა გაიყიდა, მეპატრონე გახდა შპს „ორბი ჯგუფი-თბილისი“, მისი გენდირექტორი ირაკლი კვერღელიძეა.**

**შარშან მოცვივდნენ მნგრეველები, ყველა წესის დარღვევით დაგვანგრიეს თავზე ინსტიტუტის შენობა, მოჭრეს, დაჭრეს და წაიღეს საღი, იშვიათი ჯიშის ხეები. სამაგიეროდ, დაგვიტოვეს სამშენებლო ნაგავი.**

თითქმის 2 წელია, აღნიშნულ მოედანზე ტონობით ნაგავი ყრია, ჩვენი ლობე ჩამონგრეულია, საბავშვო მოედანი — დაზიანებული, ნანგრევების მტვრით გვეწამლება ბავშვები, ათასნაირი მაწანწალა ჩვენს ეზოში ჭამს, სვამს, სიგარეტს ეწევა, ნაგავს იქვე ყრის, უპრობლემოდ ისაქმებს ნანგრევებში.

ეს ხდება ქალაქის ცენტრში, ალ. ყაზბეგის გამზირის №20 და №24 საცხოვრებელი სახლების მიმდებარედ, საბურთალოს და ანტონოვსკაიას ქუჩებს შორის. მიუხედავად მრავალგზის შეტყობინებისა, ქალაქის მესვეურები ამაზე არ რეაგირებდნენ.

ახლა შპს „ორბი ჯგუფი-თბილისი“ (გენდირექტორი ირაკლი კვერღელიძე) გვიგზავნის წერილს შეთავაზებით: **„№20 და №24 სახლების მცხოვრებლებისათვის სანაცვლო ქონების სახით საცხოვრებელი ფართის გადაცემა მოხდება №22-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე მშენებლობის დასრულების და ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ. სანაცვლო ქონების სახით საცხოვრებელი ფართის გადაცემამდე №24 და №20-ში მცხოვრები პირები იცხოვრებენ მათ ამჟამინდელ საკუთრებაში“.**

მთავრობის დადგენილებით, ქალაქში 2 კგ ნაგვის დაყრისთვის სოლიდური ჯარიმაა, ჩვენთან 50 ტონაზე მეტი ჯანმრთელობისთვის მავნე სამშენებლო ნაგავი ყრია. აქ ორი 41-სართულიანი სასტუმროს ასაშენებელი ადგილი არ არის.

აღნიშნული მოედანი სასწრაფოდ უნდა დასუფთავდეს, აღადგინონ მწვანე ნარგავები, ჩვენი ჩამოშლილი ლობე და საბავშვო მოედანი. მოსახლეობასთან მოლაპარაკებისთვის კულტურული და ცივილური ფორმა უნდა შემუშავდეს.

**ალ. ყაზბეგის №20 და №24-ში მცხოვრები 90 ოჯახი**

**ამ დღეებში სოხუმსა და თბილისში ქართველი და აფხაზი მეცნიერების ერთობლივი ნაშრომის — სამტომეულის „დიდი ტერორი აფხაზეთში, 1937-38 წლები“ პრეზენტაციები გაიმართა. ამ პროექტის არსსა და მნიშვნელობაზე, აფხაზეთსა და საქართველოში ამ ტრაგედიისადმი მიდგომებსა და აღქმებს შორის სხვაობაზე, ასევე იმაზე, როგორ მოახერხეს ავტორებმა, წინააღმდეგობრივი მოსაზრებებისთვის გვერდი აეარათ, რადიო „თავისუფლებას“ პროექტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, აფხაზი ისტორიკოსი სტანისლავ ლაკობა და თბილისის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი გია სიამაშვილი ესაუბრნენ. „აქცენტი“ ამ ინტერვიუს ქართულ თარგმანს გთავაზობთ:**

# მარადიული კამათი ჯალათებსა და მსხვერპლზე

**— ბატონო სტანისლავ, პრეზენტაციაზეც და მანამდეც, თქვენს სტატიებში აღნიშნავდით, რომ აფხაზეთი „დიდი ტერორის“ წლებში ორმაგი წნეხის ქვეშ იყო და რომ რესპუბლიკაში „დიდი ტერორი“ საერთო ქართულისგან განცალკევებულად აღიქმება. თუ სწორად მესმის, ამ ვითარებაში მსგავსი სამტომეულის შექმნა ერთგვარი ისტორიული და პოლიტიკური გარღვევაა, ან, სულ მცირე, ერთგვარი ფორმა კომპრომისისა... როგორ მოახერხეთ ეს?**

— რეალურად, მართლაც შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ეს გარკვეული გარღვევაა იმაში, რაც საარქივო დოკუმენტებს შეეხება, რადგან, როგორც ცნობილია, 1992-93 წლების ომის მსვლელობისას განადგურდა ცენტრალური სახელმწიფო არქივი, აფხაზეთის ლიტერატურის, ისტორიისა და ენის ინსტიტუტი, ერთი სიტყვით, ძალიან ბევრი არქივი, მათ შორის, პირადიც. ამ თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, გარკვეულწილად შეგვიძლია, ვისაუბროთ იმაზე, რომ ეს თეთრი ლაქა ერთგვარად ამოივსო, თანაც სრულიად მოულოდნელი მხრიდან: სწორედ 1937-38 წლებში, როდესაც აქ ძალიან ბევრი ადამიანი დაზარალდა და არა მხოლოდ ადამიანი, არამედ პრინციპში, მთელი რესპუბლიკა მოექცა რეპრესიული პოლიტიკის ქვეშ ბევრ სფეროში...

რა თქმა უნდა, ამ თვალსაზრისით, თუ გავითვალისწინებთ, რომ მარტო აფხაზეთის მიმართულებით 1937 წლის ივლისიდან 1938 წლის ნოემბრის ჩათვლით 2186 ადამიანი იქნა რეპრესირებული (და ეს არასრული მონაცემებია) და მათგან 748 დახვრიტეს, ხოლო 377 უკვალოდ გაქრა, შეგვიძლია, ვისაუბროთ იმაზე, რომ ამ ადამიანების ძალიან ბევრმა შთამომავალმა 1937 წლის „დიდი ტერორის“ დაწყების მომენტიდან მეოთხმოცე წლისთავისთვის პირველად მიიღო შესაძლებლობა, შეეტყოთ გარკვეული დეტალები მათი ოჯახის წევრების შესახებ. აფხაზეთის შემთხვევაში საუბარია სხვადასხვა ეროვნების ადამიანებზე, მაგრამ თუ ზოგადად ვისაუბრებთ, ძირითადი დარტყმა, რა თქმა უნდა, აფხაზებზე მოვიდა და, სხვათა შორის, ერთ-ერთი მაგალითია ე.წ. ლაკობოველების პოლიტიკური პროცესი, რომელზეც 10 მათგანს დახვრეტა მიუსაჯეს, დანარჩენებს — პატიმრობა სხვადასხვა ვადით.

ვთვლი, რომ ჩატარდა ძალიან დიდი სამუშაო, მასში გამოყენებული იყო ჩვენი არქივებიც, ზოგიერთი შენარჩუნებული დოკუმენტი, თუმცა, რა თქმა უნდა, თბილისში შექმნილი კარტოთეკის გარეშე ამაზე საუბარიც ზედმეტი იქნებოდა. ასე, რომ ეს მოვლენა დადებით კონტექსტში უნდა განვიხილოთ. და ამაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ევროპის საბჭოსა და პროექტის დირექტორ ანა კაპელოს, რომელმაც ხელი მოჰკიდა ამ, ერთი შეხედვით, განუხორციელებელ საქმეს, ასევე ზურაბ ლაკერბაიას — პროექტის კოორდინატორს, რომელმაც ასევე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

**— ბატონო გია, ქართულ ისტორიულ ტრადიციაში, ქართველ საზოგადოებრივ ცნობიერებაში „დიდი ტერორი“ აფხაზეთში — ეს ნაწილია „დიდი ტერორისა“ საქართველოში თუ განყენებული ცნება?**

— ალბათ, ჩვენი (ქართველებისა და აფხაზების) წარმოდგენები ამ მძიმე ფაქტის შესახებ მაინც განსხვავებულია. საქართველოში სამეცნიერო-საზოგადოებრივ წრეებში აბსოლუტურად დომინირებს აზრი, რომ ეს იყო ყველა საბჭოთა ხალხის ერთიანი გასაჭირი, რომლის შედეგად ბუკვალურად ყველა დაზარალდა, განსაკუთრებით ინტელიგენციის წარმომადგენლები როგორც ქართულის, ისე აფხაზურის.

აი, აქ ჩვენი ხედვები განსხვავდება სწორედ იმაში, რომ აფხაზურ ინტელიგენციაში — როგორც ამჟამინდელში, ისე ომისწინანდელში — თვლიან, თითქოს ქართველები იყვნენ დამნაშავეები ტერორში, რომელიც აფხაზეთში ხორციელდებოდა. და ამას, ალბათ, აქვს გარკვეული საფუძვლები: თუნდაც ის, რომ იოსებ სტალინი და ლავრენტი ბერია ქართველები იყვნენ და, შესაძლოა, ქართველი ყოფილიყო სასჯელის ზოგიერთი აღმსრულებელიც. აფხაზეთში ხომ იმ პერიოდში ხელმძღვანელობა ძირითადად ქართული იყო და გამოდის, რომ ტერორი თითქოს ქართველების ხელით ხორციელდებოდა. მასობრივი ცნობიერებისთვის ეს სრულიად საკმარისია საიმისოდ, რომ ქართველ ერს მიაწერონ ერთგვარი მალული მტრობა და ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლების განადგურების სურვილი.

**— ბერიას ფაქტორი — ხომ არ წარმოადგენს იგი ქართველი ისტრიკოსებისთვის იმას, რასაც ახლა მოდურია, უწოდო კოგნიტიური დისონანსი?**

— ბერიას ფაქტორი ერთმნიშვნელოვნად უარყოფითად აღიქმება ქართული ინტელიგენციის მიერ.

**— მე აფხაზეთთან მიმართებაში ვგულისხმობდი...**

— ასევეა აფხაზეთთან მიმართებაშიც. ჩვენი პოზიციის თანახმად, ქვეყანა დაიპყრეს, მის სათავეში მოექცნენ ანტისახალხო ძალები და ხორციელდებოდა გარკვეული უტოპიური პროექტი, რა დროსაც უნდა განადგურებულიყო ყველაფერი, რაც ამ უტოპიური პროექტის განხორციელებას ხელს უშლიდა. იმ დროს მათ ქცევაში არანაირი ეროვნული მოტივები არ ყოფილა. მათ ერთადერთი მოტივი ჰქონდათ: უნდა აშენებულიყო უტოპია და ყველაფერი ხელისშემშლელი განადგურებულიყო. ამდენად, ჩვენ ამ პროცესს საბჭოთა კავშირის ისტორიის ერთიან კონტექსტში განვიხილავთ.

**— ბატონო სტანისლავ, დომინირებდა თუ არა ეს მოსაზრება თქვენს ქართველ კოლეგებში ამ კვლევის პროცესში და თუ დომინირებდა, როგორ ახერხებდით აზრთა ამ სხვადასხვაობის დაძლევას?**

— ჩვენ, პრინციპში, ვცდილობდით, გვერდი აგვევლო მახვილი კუთხეებისთვის და მივსულიყავით გარკვეულ კომპრომისამდე, რადგან მთავარი მიზანი სხვა იყო — შექმნილიყო კარტოთეკა, რომელსაც ჩვენ სოხუმში ვერ ვქმნით შესაბამისი არქივების არარსებობის გამო.

და მეორე ძალზე მნიშვნელოვანი მომენტი: აფხაზეთში, უდავოდ, არსებობდა ტერორის თავისებურებები, იქ ხომ ეს „დიდი ტერორით“ არ დასრულებულა, როგორც ეს, მაგალითად, საბჭოთა კავშირის სხვა ნაწილებში მოხდა. აქ იყო საკუთარი თავისებურებები — ისეთები, როგორიც არ იყო საქართველოში 1937-დან 1953 წლის ჩათვლით: მაგალითად, აფხაზური სკოლების დახურვა, ლათინური გრაფიკის ქართულ გრაფიკულ საფუძველზე გადაყვანა, დასავლეთ საქართველოდან აფხაზეთში მასობრივი გადასახლება, ომის წლებშიც კი, 1941-42 წლებში გეოგრაფიული ტოპონიმიური სახელწოდებების შეცვლა და უამრავი სხვა რამ.

სხვათა შორის, ცოტა ხნის წინათ გერმანელი ისტორიკოსების წიგნების მთელი სერია გამოიცა. ისინი ბოლო 5 წლის განმავლობაში თბილისში მუშაობდნენ და წარმოადგინეს ძალზე საინტერესო ნაშრომი სახელწოდებით „ეთნოსი და ტერორი“. ისინი ამბობენ, რომ საქართველოს იმჟამინდელ საბჭოთა რესპუბლიკაში, თუ პროცენტულ თანაფარდობას განვიხილავთ, აფხაზების ყველაზე მეტი რაოდენობა იქნა არათუ რეპრესირებული, არამედ დახვრეტილი, ანუ, რეპრესირებულთა მთელი მასიდან 52% დახვრიტეს. მსგავსი პროცენტული მაჩვენებელი არც ერთ ხალხს არ ჰქონია — მხოლოდ გერმანელებს, რომლებიც საქართველოში ცხოვრობდნენ. ვიცი, რომ ამან საქართველოში უკმაყოფილების დიდი ტალღა გამოიწვია.

რაც შეეხება ბერიას, მართალს ბრძანებთ, აქაც იყო თავისებურებები, ცნობილი ურთიერთობები ნესტორ ლაკობასა და ლავრენტი ბერიას შორის. საკმარისია, ავიღოთ ჩვენს სამტომეულში შეტანილი დოკუმენტი — ბერიას წერილი სტალინს, რომელიც 1937 წლის 20 ივლისით არის დათარიღებული. მასში, კერძოდ, ნათქვამია, რომ ნესტორ ლაკობას მეუღლე და დედა ძალზე საეჭვოდ იქცევიან და აუცილებელია მათი იზოლირება. საპასუხოდ 13 აგვისტოს მოდის შიფროგრამა სტალინისგან, რომლის თანახმად, იგი დადებითად აფასებს ბერიას მონაწერს, და ამის შემდეგ იწყება ყველა შესაბამისი მოქმედება. ათიოდე დღეში — 23 აგვისტოს ლაკობას დედა და მეუღლე დააკავეს.

**— პირადად თქვენ როგორ აფასებთ ამ ეპიზოდს, ისევე, როგორც მრავალ სხვას: როგორც „დიდი ტერორის“ გაძლიერებას თბილისი-სოხუმის ღერძით, თუ მაინც როგორც მოსკოვურ საქმეებს?**

— იცით, არსებობდა საერთო მოსკოვური საქმეები, თუმცა როგორც გერმანელი მკვლევარები აღნიშნავენ, ამ მხრივ თბილისი საკმაოდ თავისუფლად მოქმედებდა, ხელი ჰქონდა გახსნილი. ზოგიერთი ამბობს, რომ ბერია მაშინ „ენკავედეს“ არ ხელმძღვანელობდა და ა.შ. თუმცა ბერია იდგა საქართველოს სათავეში და ის წყვეტდა ყველა ამ საკითხს, სანამ მოსკოვში გადაიყვანდნენ.

**— გია, არსებობს თუ არა ქართველ ისტორიკოსთა სამეცნიერო საზოგადოებაში გარკვეული პოლემიკა ზოგიერთ არაცალსახა ან სადავო ფაქტთან — იგივე ბერიას ფაქტორთან, მეგრელების გადასახლების ფაქტორთან და სხვებთან დაკავშირებით?**

— ხანდახან, რა თქმა უნდა, ხდება დისკუსიები ამ თემაზე, თუმცა პრინციპში, თითქმის ყველა ჩვენი ისტორიკოსი ერთიანია იმ აზრში, და ალბათ, სწორედ ამაშია სხვაობა ჩვენს და აფხაზი ისტორიკოსების მოსაზრებებს შორის, რომ ჩვენ ამ ტრაგიკულ მოვლენებს ისტორიის იმ პერიოდის საერთო კონტექსტში — რესპუბლიკების ტერიტორიების ცვლის კონტექსტში განვიხილავთ; ასახლებდნენ ადამიანებს თუ ხვრეტდნენ, ყველაფერი ეს საერთო ცენტრალიზებული გეგმის მიხედვით ხდებოდა და არა ამა თუ იმ ეთნოსის ინტერესში. ამასწინათ გავეცანი სვეტლანა ალექსიევიჩის ინტერვიუს, რომელიც გვსტუმრობდა. ამ თემაზე საუბრისას იგი ამბობს, რომ მთელი ცხოვრების განმავლობაში ჩვენ ვმერყეობთ ჯალათისა და მსხვერპლის როლებს შორის. ეს აზრი ძალიან მომეწონა.

იხ. 5 გვ.

## დიდი ტერორი აფხაზეთში




**აფხაზეთში, უდავოდ, არსებობდა ტერორის თავისებურებები, იქ ხომ ეს „დიდი ტერორით“ არ დასრულებულა, როგორც ეს, მაგალითად, საბჭოთა კავშირის სხვა ნაწილებში მოხდა. აქ იყო საკუთარი თავისებურებები — ისეთები, როგორიც არ იყო საქართველოში 1937-დან 1953 წლის ჩათვლით: მაგალითად, აფხაზური სკოლების დახურვა, ლათინური გრაფიკის ქართულ გრაფიკულ საფუძველზე გადაყვანა, დასავლეთ საქართველოდან აფხაზეთში მასობრივი გადასახლება, ომის წლებშიც კი, 1941-42 წლებში გეოგრაფიული ტოპონიმიური სახელწოდებების შეცვლა და უამრავი სხვა რამ.**

**სტანისლავ ლაკობა**



# მივეჩვიოთ მილიონებს!

## „რეფორმატორული“ წინადადება სიღატაკის დასაძლევად...

**არის კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც მილიონერებს ისტორიულად დიდ თავსატეხს უჩენს. როგორც ხალხში იტყვიან ხოლმე, ღარიბი, უქონელი კაცი ქვაზე მაგარია, მას არაფრის ჯავრი არ აწუხებს და ღამე უშფოთველად სძინავს. აი, მდიდარ და ფულით გაძეძგილ მილიონერს კი თვალზე ლული არ ეკარება, ერთთავად იმაზე ფიქრობს, ამდენი თანხა სად და როგორ დახარჯოს ისე, რომ წაგებული არ დარჩეს.**

ჩემი ბოლო კრიტიკული წერილის გამო, რომელიც პარლამენტსა და მთავრობაში მოკალათებული მილიონერების „მოღვაწეობას“ შეეხებოდა, რედაქტორმა როგორღაც მისაყვედურა: შენ, ჩემო საამაყო კოლეგავ, ხელისუფლებაში მილიონერთა არსებობას ისე ხატავ, თითქოს დიდი დანაშაული იყოს. შენი აზრით, აბა ის იქნება კარგი, ქართველებმა ნიადაგ სიღატაკეში ვიცხოვროთ? დაე, გაივსოს საქართველო, მისი მთავრობა და პარლამენტი მილიონერებით და დროა, ჩვენც მივეჩვიოთ მილიონებს და მილიონერებს...

ვერ გეტყვით, გაზეთის რედაქტორმა რამდენად სერიოზულობით და რამდენად ხუმრობით შემომაპარა ეს შენიშვნა, მაგრამ მან საქართველოში მოქკავშირელთა მმართველობის პერიოდი გამახსენა, როცა გაზეთების ჯიხურებსა და ბილბორდებზე გაკრული განცხადებები მორიდებით, ერთგვარად მოკრძალებითაც კი, გვაპარებდნენ აზრს — მიეჩვიეთ მოგებასო. ამით როგორღაც გვიბიძგებდნენ, თუ ლაღი ცხოვრება გინდათ, კეთილი ინებეთ, თავს ძალა დაატანეთ და მიეჩვიეთ მოგებას, თუ არადა, კისერიც გიტეხიათო.

გამოგიტყდებით, მე პირადად როგორ აღარ ვეცადე, მაგრამ ამ თითლიბაზ მოგებას ვერაფრით მივეჩვიე. რაღა დაგიმალოთ და იმ ლატბილეთებმა, რომელთაც ყოველ გათამაშებაზე ვყიდულობდი, წაგებას უფრო მიმაჩვიეს, ვიდრე მოგებას. ჩემს ყავლგაუსვლელ კოლეგა ბენიტოზე ხომ ნუღარ მკითხავთ, ის იმდენად ჩაერთო ყოველდღიურ სამოგებო ორომტრიალში, რომ რეპორტიორობას მთლიანად გადაეჩვია და „პოსლეზე“ არყის სმას მიეჩვია.

ჩემი თაობის ადამიანებს მოგებისადმი ასეთი ალერგიულობა, ალბათ, არც გაემტყუნებათ. შედით ჩვენს მდგომარეობაში, ხალხო, კომუნისტურ ეპოქაში, მთელი ცხოვრება წაგებაზე ვიყავით ორიენტირებული და ახლა ერთბაშად მოგებაზე რანაირად გადავერთვებოდით. ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ერთი პერიოდი სცადა კიდეც ჩვენი გამოსწორება, თუ სადმე გროში გვქონდა გადანახული, გურულად მოგვახეკინა და ბანკში შეგვატანინა (გვპირდებოდა, მალე სამმაგად მოიგებთო), მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ვერც გაამტყუნებ, ძველი თაობის კაცს მოგებისა არაფერი გაეგებოდა, ბოლოს თავადაც წაგებული დაბრუნდა სახლში...

სამაგიეროდ, შევარდნაძემ სააკაშვილების, ბოკერიების, უგულავების, გაბაშვილებისა და სხვათა სახით, იმისთანა უწვერულვაშო ბიჭები დაგვიტოვა, რომ, როგორც ხალხში იტყვიან, თუ მოინდომეს ფულის გულისთვის რწყილსაც კი გაატყავებენ. სიმართლე უნდა ითქვას, ამ მხრივ ნაცბიჭებს სამდურავი არ ეთქმით, მათ მოინდომეს კი არა, გადაინდომეს კიდეც, მაგრამ რწყილების ძებნაში დრო რომ არ დაეკარგათ, ადგნენ და ტყავი საკუთარ ხალხს გააძვრეს.

ნაცების „ნაამაგარი“ დროის ქარცეცხლს რომ არ გაეცამტვერებინა, მათ შემდეგ ხელისუფლებაში მოსულმა მეოცნებეებმა წინამორბედთა „ისტორიულ მონაპოვარს“ საგულდაგულოდ უპატრონეს და თავიანთ მხრივ სიახლეებიც დაამატეს. ადრე თუ, მაგალითად, ბიზნესმენი მილიონერის გადეპუტატება ან გაჩინოვნიკება საკვირველად აღიქმებოდა, ახლა ეს ჩვეულებრივ მოვლენად იქცა და როგორც პარლამენტი, ასევე მთავრობა, მილიონერებით გაიძეძგა. დღეს თუ ვინმემ ფული იშოვა, იმათგან ყველამ ხელისუფლებაში დაივანა. ამის დასტურად გამოდგება მონიტორინგ „მედიატორის“ მიერ გახმაურებული სენსაციური ინფორმაცია, რომლითაც ვიგებთ, რომ მარტო „ქართულ ოცნებას“ პარლამენტში 36 მილიონერი დეპუტატი ჰყავს, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი ყოველი მესამე დეპუტატი დეკლარირებული მილიონერია(!)

ასეა, ჩვენო შარახვეტია და ენაჭარტალა ნაცებო, რომ გეგონათ მილიონების მოხვეჭა მარტო თქვენ შეგეძლოთ, ახლა ხომ მაინც დარწმუნდით, რომ ოცნებელებს ოცნებასთან ერთად, თურმე საკუთარი ბიზნესის კეთება და ფულის ხვეჭაც მშვენივრად ეხერხებათ. ამის ლუსტრაცია გახლავთ თავად დეპუტატების მიერ ოფიციალურად დეკლარირებული უძრავ-მოძრავი ქონება, რომელიც მილიონობით ლარებში ასე გამოიყურება: შოთა შალელაშვილი — 34.907.760, იოსებ მაკრახიძე — 12.733.919, ბექა ოდიშარია — 12.414.270, ლევან კობიაშვილი — 9.829.530, კობა ნარჩემაშვილი — 7.672.000 და სხვები და სხვები. ყველას ვერ ჩამოვთვლი, მეშინია ვინმე არ გამომრჩეს და მისაყვედუროს — შე კაცო, მილიონერობას ძლივს ვეწიე და რატომ დამაკარგვინეო?!

თქვენ წარმოიდგინეთ, მართალიც იქნება ესა თუ ის მილიონერი პარლამენტარი თუ სახელმწიფო მოხელე, უსაყვედუროს მედიას, თუკი ის ქვეყნისა და ხალხის წინაშე მის „მილიონიან დამსახურებას“ ღირსეულად ვერ შეაფასებს. რაც შეგვეხება ჩვენ, ხელისუფალთა მოგებულ ქვეყანაში მცხოვრებ წაგებულ ადამიანებს, ალბათ, თავები უნდა გავანძრიოთ, მივდგეთ-მოვდგეთ, დავაკვირდეთ, გავაანალიზოთ, რა გზებითა და საშუალებებით დააგროვეს დეპუტატ-ჩინოვნიკებმა მილიონები და ლატარიით იქნება თუ კარუსელით, რაღაც მოგებას ჩვენც გამოვკრათ ხელი. ეგ კი არა და, რადგან მთავრობა ასე ზრუნავს ჩვენს გამილიონერებაზე, ალბათ, ისიც არ იქნება ურიგო, თუკი ახლო მომავალში ამ სფეროში ხალხის გათვითცნობიერების მიზნით საკონსულტაციო ცენტრებიც გაიხსნება. ოღონდ ერთი პირობით, ამ საქმეში ნაცები და ოპოზიციური პარტიები არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავრიოთ, მაგათ ერთმანეთში რამდენიც იკონსულტაციეს, იმდენი წააგეს და ჩვენ რას მოგვაგებინებენ?

საერთოდაც გაუგებარია, რაში სჭირდება ოპოზიცია იმ მთავრობას, რომელმაც პარლამენტარებისა და ჩინოვნიკების მხრივ მსოფლიო სიმდიდრისა და მილიონების დაგროვების ამხელა გამოცდილებას აზიარა? ერთადერთი, რაც მას ამ ეტაპზე სჭირდება, ალბათ, ახალი სამინისტროს შექმნაა, რომელიც ქვეყანაში მოგებისა და სამილიონო ინდუსტრიის განვითარების პრობლემებზე იმუშავებს. ფაქტია, ხელისუფლება, რომელმაც ქვეყანა უმოკლეს პერიოდში უპირველეს რეფორმატორ სახელმწიფოდ აქცია, თუ ხალხს ფულის კეთებას მასობრივად მიაჩვევს, დასაქმებისა და სიღატაკის პრობლემას ეგრევე უმტკივნეულოდ გადაწყვეტს.

არის კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც მილიონერებს ისტორიულად დიდ თავსატეხს უჩენს. როგორც ხალხში იტყვიან ხოლმე, ღარიბი, უქონელი კაცი ქვაზე მაგარია, მას არაფრის ჯავრი არ აწუხებს და ღამე უშფოთველად სძინავს. აი, მდიდარ და ფულით გაძეძგილ მილიონერს კი თვალზე ლული არ ეკარება, ერთთავად იმაზე ფიქრობს, ამდენი თანხა სად და როგორ დახარჯოს ისე, რომ წაგებული არ დარჩეს. ეტყობა, ამ გასაჭირისგან თავის დაღწევის სურვილმა უბიძგა გამოჩენილ ქართველ კრიტიკოსსა და იუმორისტს, ბატონ თამაზ წივწივაძეს, გაებედა და ქვეყნის ერთხელ უკვე გადამრჩენელ, 7 მილიარდის მქონე ბიძინა ივანიშვილისთვის ფულის გონივრული ხარჯვის მისეული სურვილი შეეთავაზებინა: 2 მილიარდი თავის განკარგულებაში დაიტოვოს, დანარჩენი 5 მილიარდი კი ქველმოქმედებასა და ქვრივ-ობლების დაპურებას მოახმაროს.

ყოჩაღ, ამას მოფიქრება არ უნდოდა?!

გაითვალისწინებს თუ არა გამოჩენილი ქართველი მილიარდერი გამოჩენილი ქართველი იუმორისტის ამ რჩევას, ამას უახლესი მომავალი გვიჩვენებს, თუმცა მილიონერებს და მილიარდერებს ჩემეული სურვილიც მინდა ვაუწყო: თუ ამას ისინი ქვეყნის ინტერესებისთვის არ გააკეთებენ, გააკეთონ საკუთარი მონაგარის — შვილებისა და შვილთაშვილებისთვის მაინც, რათა იხსნან ისინი სამომავლოდ ზღვარგადასული სიმდიდრის ტვირთის ზიდვისგან!



**ოთარ ხუციშვილი**

## მახარე სისაური და რამაზ ღვალაძე „ყინწვისის საქმის“ პოლიტპატიმრები არიან!

უფლებადამცველი ნანა კაკაბაძე აცხადებს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები მახარე სისაური და რამაზ ღვალაძე, რომელთა მანქანასაც სავარაუდოდ „მოლოტოვის კოქტეული“ ესროლეს, მისი ორგანიზაციის წევრები და ყოფილი პოლიტპატიმრები არიან. კაკაბაძე ამბობს, რომ მომხდარი არჩევნებთანაა დაკავშირებული და საქმის გამოძიებას მოითხოვს:





**„ისინი ყოფილი პოლიტპატიმრები არიან — „ყინწვისის საქმის“ პოლიტპატიმრები. მახარე თვითონ დუშელია და მეჭიაური ეტყობა დაუკავშირდა, როგორც ადგილობრივ მკვიდრს და როგორც აქტიურ ადამიანს და ყველაზე უფრო ცნობად სახეს იმ რაიონში. აქედან გამომდინარე, ისინი ჩაერთვნენ პროცესში. ჩაერთნენ დამკვირვებლებად, არც ერთ მხარეს არ წარმოადგენდნენ. მათ ჩათვალეს, რომ მეჭიაურის მხარე იყო დაჩაგრულ მდგომარეობაში“,** — განაცხადა კაკაბაძემ.

## კობა ნაყოფიას სამი წლით უკრაინაში შესვლა აეკრძალა

ეს გადაწყვეტილება უკრაინის უსაფრთხოების სამსახურმა მიიღო. ინფორმაციას „უკრაინსკაია პრავდა“ ავრცელებს. კობა ნაყოფიას ინფორმაციით, ეს გადაწყვეტილება უშუალოდ უკრაინის უსაფრთხოების სამსახურმა მიიღო და არა სასამართლომ და მასში ვადებზე საუბარი არ არის, არ არის განმარტებული მიზეზიც.

გადაწყვეტილება სასამართლოში უკვე გაასაჩივრეს ნაყოფიას ადვოკატებმა. ისინი სასამართლო დავების დასრულებამდე, გადაწყვეტილების შეჩერებას ითხოვენ. ქართველი დეპუტატი კი ამ ფაქტს მიხეილ სააკაშვილსა და პოლიტიკას უკავშირებს — **„მოვუწოდებ საგარეო საქმეთა სამინისტროს, ჩვენს საელჩოს უკრაინაში, რომ უფრო ქმედითი ზომები მიიღონ,“** — აცხადებს კობა ნაყოფია

## 67-ე სკოლის დირექტორი თანამდებობიდან გაათავისუფლეს

**„რუსთავი-2“-ის ინფორმაციით, 67-ე სკოლის დირექტორი მარიამ თავართქილაძე თანამდებობიდან გათავისუფლებულია და გადაწყვეტილება ამის შესახებ განათლების სამინისტრომ მიიღო.**

67-ე საჯარო სკოლაში კოლექტივი და მშობლები ორად არიან გაყოფილი. ხმაური მას შემდეგ დაიწყო, რაც დირექტორმა ქიმიის პედაგოგი დოდო კეზუა სამსახურიდან გაათავისუფლა. სკოლის ნაწილი მხარს კეზუას, ნაწილი კი თავართქილაძეს უჭერს.

რეზო ამაშუკელი

# „როცა ახლოა მზე შემოდგომის“



გალაკტიონი

ზაზა შათირიშვილს

ვზი აივანზე
უძილობით ღამენათევი...
ისევ მოფრინდნენ დამშეული
უბნის მტრედები,
ბებრული სევდა —
შავი აცმა თლილი გიშერის,
ხელში მადნება
როგორც ძველი კრიალოსანი...
დატბორილია მოგონება
სველი შროშნებით,
და თვლემს წარსული,
არეული ფერად სიზმრებით...
ახლა შორია,
ყველაფერი ისე შორია,
როგორც „მონტაზა“,
როგორც ძველი ისკანდერია!
ვზი აივანზე უძინარი
და ვხედავ სიზმარს: —
— აი,
„მონტაზა“ საბრძანისი ფარაონების!
გადასისხლული ზამბახები
ზღვის ჰაერს სვამენ,
მწიფს შავი ლეღვი,
კლეოპატრას დილის საუზმე...
ზღვით მონაბერი ცისკრის ნესტით
სოველი ბაღი
დახუნძლულია ვარდისფერი ლოკოკინებით...
— ეს ნიჟარები მაგონებენ
პატარა ჭიქებს,
პატარა ჭიქებს
კაოლინის ფაიფურისას!
მწიფს შავი ლეღვი,
კლეოპატრას ძუძუსავით მკვრივი,
რძიანი...
ახლა შორია,
ყველაფერი ისე შორია,
როგორც „მონტაზა“,
როგორც ძველი ისკანდერია!
მთვარის ერთგული აზნაური,
მორჩილი მისი,
აღარ ვენდობი
ჩამოშვებულ იისფერ ბლონდებს,
რადგან გამწირა,
მიმატოვა მღვრიე ქალაქში
ნაწნავიანი წვეროსნების
გაბმულ ღნავილში
აქოთებული ბორდელების
ახალ მექაში —
კაცები წინდებს არ იცვამენ,
ქალები ნიფხავს...
— მე აქ რა მინდა,
აქ რა მინდა ამ ბაბილონში?!
„როცა ახლოა მზე შემოდგომის“...
უკვე თანდათან ემატება
სიყვითლე ბაღებს,
თვლემს მოგონება
არეული ძველი სიზმრებით...
ბანგნარევია შემოდგომის მზე,
როცა
დრო გადის შენს გარეშე,
გარბის უშენოდ!
...„როცა ახლოა მზე შემოდგომის“...

— მალინა!
მალინააა!
ჟოლოს ყიდის დედაკაცი ბორჩალოელი,
მიდის, მიათრევს დაცლილ ვედროს,
სავსე კალათებს...
ატმის ბაღებში ნამთვრალევი
შემოდგომის მზე
მოახლოებულ ფოთოლცვენას
ღებავს ზაფრანით...
ვზი აივანზე
ესღა არის ჩემი აგარა
და თვლემს და ბჟუტავს მოგონება,
როცა ახლოა აღსარება,
როცა ახლოა პარაკლისი უკანასკნელი!..
— „როცა ახლოა მზე შემოდგომის“...
სადღაც ხარშავენ ჟოლოს მურაბას —
— და ნიავს მოაქვს, მორონინეს,
მოტკბო სურნელი!..
და დედაჩემი მახსენდება
კალმით ნახატი,
კალმით ნახატი სათნოება
ყელმოღერილი!..
სადღაც ხარშავენ ჟოლოს მურაბას
და თვალწინ მიდგას სამურაბე
ოქროსფერი სპილენძის ტაშტი,
ნავთქურაზე მოთუხთუხე
ქაფით და ორთქლით!..
ეს დედაჩემის სურნელია,
ჩემი ბავშვობის!..
მადგება ცრემლი,
მაგრამ ცრემლიც აღარსად არის!..
— მალინა!
მალინააა!
ისევ გაჰყვირის დედაკაცი
ბორჩალოელი...
და ხმა თანდათან იკარგება
და ღიავდება
წყალში გახსნილი აკვარელის
საღებავივით...
— „როცა ახლოა მზე შემოდგომის“...
მზე ნამთვრალევი,
ჩაშაქრებულ ვენახებიდან
ბრუნდება როგორც ფადიშაჰი
ჰარამხანიდან!..
დამცხრალია და გულმოწყალე
შემოდგომის მზე!
მის გამდნარ ოქროს
ზვრებში ჩაყრილს, ჩამტკბარს, ჩათესლილს,
მალე მარნებში დაწურავენ,
დაადუღებენ...
— რომ ქრისტეს სისხლმა ძალა მისცეს
ჩემს ჯიშს და ჯილაგს,
რომ კვლავ გამრავლდეს
ნაღდი მამრი —
— მზის ნაშიერი!..
შორს ზარი რეკავს
ზარი მშვიდი,
ზარი მიმწუხრის...
შორს ზარი რეკავს, ალბათ, მიხმობს,
ალბათ, მეძახის!..
„როცა ახლოა მზე შემოდგომის“...

2017 წ. 17 ოქტომბერი

# მარადიული კამათი ჯალათებსა და მსხვერპლზე

## დიდი ტერორი აფხაზეთში

(მესამე გვერდიდან)

**— ბატონო სტანისლავ, როგორც მივხვდი, მხარეთა პოზიციები უცვლელია. სამტომეულზე ორწლიანი მუშაობა გასაიდუმლოებულად მიმდინარეობდა. ვის ერიდებოდით უფრო მეტად — საკუთარ თანამოქალაქეებს თუ თქვენი ნაშრომის ქართველ კრიტიკოსებს?**

— თავისთავად მსგავსი სამუშაო მაინც გარკვეულ სიმშვიდეს მოითხოვს. ან რაზე უნდა გვესაუბრა წინასწარ, როცა უცნობი იყო, მოხდებოდა ეს თუ არა?! იცით, რამდენჯერმე ერთ-ერთმა გამომსვლელმა — პროექტის კოორდინატორმა თქვა, რომ ყველაფერი შეიძლებოდა, ჩაშლილიყო, თუმცა შემდგომში მაინც მივდიოდით გარკვეულ საერთო მნიშვნელამდე და მუშაობა გრძელდებოდა. დიდწილად, არავინ არაფერი იცის, რა თქმა უნდა, თუმცა შესაძლოა, იყოს გარკვეული ნიუანსები, რაც რაღაცით, ვთქვათ, შეიძლება, დამძაბველი იყოს.



**— რა წინააღმდეგობები აყენებდა სამუშაოს საფრთხის ქვეშ?**

— მაგალითად, ზოგიერთი დოკუმენტი. დავუშვათ, ნიკიტა ხრუშჩოვის მემუარები — ამონარიდი ნესტორ ლაკობას შესახებ. გვეუბნებოდნენ, „რა საჭიროა? რად გინდათ ხრუშჩოვი?“ — ვპასუხობდი, რომ ეს დოკუმენტი ფასეული მტკიცებულება იყო იმისა, თუ რა ხდებოდა იმ პერიოდში. შემდეგ მივედით გარკვეულ კომპრომისამდე: მთლიანად არ მოუციათ, ფრაგმენტულად მოგვცეს.

იყო კიდევ ერთი მასალა: ქართველზე, რომელიც ცხოვრობდა და მუშაობდა აფხაზეთში. დედა აფხაზი ჰყავს. და ისიც აძლევს შეფასებას ამ მოვლენებს. ამ შემთხვევაშიც გვეუბნებოდნენ, რომ ეს საჭირო არ იყო, თუმცა საბოლოოდ მთლიანობაში, ჩვენი გავიტანეთ.

არქივისტებმა, რომლებიც იქ მუშაობდნენ, მთლიანობაში იციან ვითარება — რა ხდებოდა, როგორ ხდებოდა. მაგალითად, ძალზე საინტერესო საკითხი იყო, როცა გვინდოდა, მიგვეღო გარკვეული ფოტოები პერსონალიებზე და ისე გამოვიდა, თითქოს ეს დოკუმენტები არ არსებობს, ან, შესაძლოა, საშინელ მდგომარეობაშია. თუ გინახავთ, მეორე ტომში არის ფოტო პროფილში და ანფასში — ეს მიხეილ ლაკობას ვაჟის, ნესტორ ლაკობას ძმისშვილის ციხის ფოტოა. მასზე კარგად ჩანს, რა მდგომარეობაში იყო ეს ბიჭი, რომელიც 13-14 წლის ასაკში დააპატიმრეს და 1941 წელს უკვე მოსკოვში დახვრიტეს.

ამ წიგნის ძალზე მნიშვნელოვანი ნაწილი ლაკობას პირადი არქივია, რომელიც გამოიცა: ეს არის მისდამი ბერიას წერილები, სტალინის ჩანაწერები, დოკუმენტები, ფოტოები, ძალიან ბევრი ახალი მასალა, რომელიც ერთგვარად ავსებს საერთო სურათს, რადგან ამ ადამიანის ნიშნის ქვეშ მიდიოდა მთლიანობაში „დიდი ტერორი“ აფხაზეთში. შეგვიძლია, წარმოვიდგინოთ აფხაზი ახალგაზრდები, მაგალითად, ნესტორ ლაკობას ვაჟი, მიხეილის და ვასილის ვაჟები... ისინი გაანადგურეს. ისინი მოზარდობის ასაკში დააპატიმრეს, დატყვევებული ჰყავდათ ციხეებში სოხუმში, თბილისში, შემდეგ მოსკოვში, ბოლოს კი დახვრიტეს ჭაბუკ ინალიპასთან თითქმის ერთდროულად: ის — 1941 წლის 27 ივლისს, ხოლო ისინი — 28 ივლისს. სამი ახალგაზრდა ლაკობა დაკრძალულია დასახვრეტ პოლიგონზე „Коммунарка“ — ეს ჰენრიხ იაგოდას ყოფილი აგარაკია. ცოტა ხნის წინათ მოსკოვში, ბუტოვოში აღინიშნა ღონისძიება — ე.წ. ბუტოვოს სამკუთხედი.

და ნუ ფიქრობენ, რომ ჩვენ იქ ვიქექებით, ვინ მეტია, ვინ — ნაკლები: ჩვენ ვიცით, რომ საქართველოშიც ძალიან ბევრი დაიღუპა, ძალიან დიდი იყო მსხვერპლი ინტელიგენციაში, მწერლებში, დაზარალდნენ გალაკტიონიც, ტიციანიც, პაოლო იაშვილიც, ახლა ყველას ჩამოთვლას არ დავიწყებ, ძალიან ბევრი ადამიანი. თუმცა აქ კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო, რომ აფხაზეთში იყო საკუთარი თავისებურებები და ამას არ შეიძლება, არ დაეთანხმო. ამის შესახებ წერდა ამერიკელი მკვლევარი დარელ სლაიდერიც ჯერ კიდევ საბჭოთა წლებში; ამის შესახებ წერდა დანილოვიც „აფხაზი ხალხის ტრაგედიაში“, რომელიც 1951 წელს მიუნხენში გამოიცა — ძალიან ბევრია ასეთი გამოცემა...

ekhokavkaza.com



# შეუშლელი კაცი!

**გუშინ ჩვენ სამეგობროში ლამაზი დღე იყო: დავით სალარიძეს 70 წელი შეუსრულდა.**

**დარწმუნებული ვარ, ბევრს, ძალიან ბევრ კარგ ადამიანს გაუხარდა ეს ამბავი, რამეთუ დათო სალარიძე სიკეთით სავსე კაცია და მის სახელთან დაკავშირებული იყო და არის უამრავი კეთილი საქმე. მათ შორის სახელმწიფოც და პიროვნულიც!**

დავითი ცნობილ ოჯახში გაზრდილი და ჩამოყალიბებული პიროვნებაა. დედისგან — ქალბატონ თინასგან ჩანერგილ ზნეკეთილობას პირადი მაგალითით ალვივებდა მამამისი — ვახტანგ სალარიძე, საქართველოს სახალხო არტისტი, ათეული წლები რომ იყო ვარსკვლავი მუსიკალური კომედიის თეატრისა. თუ მოიძებნება ბატონი ვახტანგის ტელეინტერვიუ, თავის დროზე თამაზ ტყემალაძემ რომ ჩამოართვა „პირველი არხისთვის“, ახალი თაობა დარწმუნდება, როგორი უნდა იყოს ინტელიგენტობის და ვაჟკაცობის ნაზავი, უნიჭიერესი და პიროვნული ღირსებებით შემკული ქართველი რაინდი.

კვიცი გვარზე ხტის!

სცენაზე მაინც მოუწია შვილს გამოჩენა, ოღონდ არა ხელოვნების, არამედ საზოგადოებრივ-პოლიტიკური სცენის წამყვან როლებში „სათამაშოდ“.

და შვილმა აქ მართლა მიაღწია იმას, რაც პირადად ჩემში, დღემდე იწვევს უაღრესად სასიამოვნო გაკვირვების პარალელურად, უბრალო, ადამიანურ აღტაცებას. და ვინმეს ეს შეფასება რომ არ გაუკვირდეს, აქვე ავხსნი: საბოლოო ჯამში გასაოცრად განსხვავებული მოღვაწეობის მრავალმხრივობა და ადეკვატური კომპეტენცია, პლუს უმაღლესი ადამიანური თვისებების შენარჩუნება და ამ მხრივ არც ერთი უკანდახეული ნაბიჯი!

შეადარეთ განვლილი გზა და თავად განსაჯეთ, რამდენადაა შესაბამისი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის განსაკუთრებით თბილი დამოკიდებულება იმ „მოხელის“ მიმართ, რომლის ბიოგრაფიაშიც ამოიკითხავთ:

„— ქალაქის პოლიციის უფროსი, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, პოლიციის გენერალი და...

— სახელმწიფოს მეთაურის თანაშემწე ეროვნული უშიშროების დარგში და ძალოვანი სტრუქტურების კოორდინატორი...

— საგადასახადო სამსახურის უფროსი, ფინანსთა მინისტრის მოადგილე და...

— საქართველოს პარლამენტის დარგობრივი კომიტეტის თავმჯდომარე და...“

დიახ, თავისი თაობის, მამების პლეადის მოღვაწეების, ხელქვეითების უთბილესი, გულწრფელი პატივისცემით სარგებლობდა სახელმწიფო სტრუქტურების უაღრესად პრინციპული ხელმძღვანელი, სახელმწიფო ინტერესების უკომპრომისო დამცველი, კანონის ძალით და მისი ადეკვატური მეთოდებით, ხმალამოწვდილი რომ ებრძოდა დანაშაულს (და არა „დამნაშავეებს“, ანუ ადამიანებს), სახელმწიფოს სასარგებლოდ რომ „ამოქაჩავდა“ (ანუ, წაართმევდა) და ავსებდა ღატაკ ბიუჯეტს ყველაზე „გაჭირვებულ“ წლებში და...

დიახ, სალარიძის გუნდის მოქნილი, კომპეტენტური, დროის მოთხოვნებისა და ვითარების ადამიანური გაგებით სავსე საქმიანობა „აცოცხლებდა“ ისედაც მიზერული ხელფასების მქონე რიგით მოხელეებს, ექიმებს, მასწავლებლებს და კიდევ უფრო უარეს დღეში მყოფ პენსიონერებს. და ეს იყო ცნობილი „ზევითაც“ და „ქვევითაც“. და როგორც ყოველთვის, ზემოთაც და ქვემოთაც მრავლად ყავდა მოყვარულიც და მოშურნეც, დამფასებელიც და გამკილავიც... ეს კლასიკაა!

სწორედ ეს მოსაზრება იყო გადამწყვეტი ედუარდ შევარდნაძისთვის, როცა იგი რეკომენდაციას უწევდა დათო სალარიძეს საქართველოს სახალხო დამცველის პოსტზე.

ბევრს გაუკვირდა მაშინ ეს „სალტო-მორტალე“ და არც დაუფარავს ეჭვი იმის შესახებ თუ რამდენად შესაძლებელი იყო პოლიციის გენერლის და „გადასახადების უმაგრესი ამკრეფის“ ადამიანთა უფლებების დამცველად „გარდაქმნა“. შევარდნაძეს სჩვეოდა ასეთი „ორიგინალური“ ნაბიჯები და, რაც დრო გადის, მით უფრო ვრწმუნდები ამ კონკრეტულ შემთხვევაში მისი გათვლის სისწორეში, რამეთუ სახალხო დამცველობა ჩვენში სრულიად ახალი ხილი იყო და პირველად გზის გამკვალავად, ანუ მოქალაქის უფლებების ყველაზე მთავარ დამრღვევებთან — ძალოვან და სასამართლო სტრუქტურებთან „ყალყზე დადგომას“ სუსტი, არაკომპეტენტური, მხდალი პერსონა ვერ შეძლებდა და ამისთვის საჭირო იყო სწორედ ისეთი მებრძოლი, გონიერი ადამიანი, რომელმაც არა მარტო იცოდა „მუნჯის ენა“, არამედ მოყელყელავე და ყოყლოჩინა ტიპაჟს საკუთარ ადგილს მიუჩენდა.

**მიუჩინა კიდეც და ჩაუყარა საფუძველი ამ ინსტიტუტის ანგარიშგასაწევ ავტორიტეტს. და თუ ვინმეს ახლა პრეტენზია აქვს უჩა ნანუაშვილისადმი, ამაში სალარიძეს ბრალი ნამდვილად არ მიუძღვის.**

**ეს ხუმრობით, მაგრამ სერიოზულად ისიც გასახსენებელია, რომ სახალხო დამცველის ინსტიტუტს ფუნქციონირებისთვის პირველივე ნაბიჯებიდან სჭირდებოდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და, სწორედ სალარიძეს უნდა უმადლოდნენ მისი ამ პოსტზე მემკვიდრენი იმ „კომფორტს“, რომელიც მათ მაჩაბლის ქუჩაზე დახვდათ, ბერიასა და კომკავშირის ყოფილ სასახლეში და რომლის გამოხსნაც მწერალთა კავშირის თავკაცის თამაზ წივწივაძის „კლანჭებიდან“ არც ისე ადვილი გახლდათ.**

რაღამც პირველი გზამკვლევის და „შენობის“ თემა ამოგვივარდა, ისიც გასახსენებელია, რომ ახლა არსებული საგადასახადო სისტემაც პირველად დათო სალარიძის თავკაცობით ჩამოყალიბდა და მისი მაშინდელ „შენობებში“ განთავსებაც დათოს „სინდისზე“ იყო, რამეთუ დედაქალაქს და რეგიონებს მასზე უკეთ, ალბათ, ცოტა ვინმე იცნობდა...

კი გამიგრძელდა სიტყვა, მაგრამ 70-წლიანი იუბილე არ არის სახუმარო საქმე და მეპატიება. მით უმეტეს, ორი უნიკალური შემთხვევა უნდა გავიხსენო, რომლის მსგავსი ზოგს ალბათ არც გაუგონია, ზოგისთვის კი იშვიათ გამონაკლისად რჩება:

არეული წლებია. ჯერ „პუტჩი“... სამოქალაქო ომი. უაღრესად დაპირისპირებული ვითარება... ძმათა სისხლი იღვრება... კანონიერი პრეზიდენტის მომხრეები, პრაქტიკულად, დასავლეთ საქართველოს აკონტროლებენ... ამ დროს სახელმწიფოს მეთაურის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში რას უნდა აკეთებდეს, გარდა იმისა, რომ ცდილობს ამ უბედურებების თავიდან აცილებას და ამისთვის ერთადერთ გზად მოლაპარაკებები მიაჩნია. ასეც არის.

და ერთ მშვენიერ დღეს მას და მის რამდენიმე კოლეგას „აჯანყებულნი“ ატყვევებენ, მძევლად იტოვებენ და... არ მინდა დეტალებზე საუბარი, ამ ტყვეობამ კარგა ხანს გასტანა. ასე იყო თუ ისე, დამთავრდა და...

გავიდა ხანი, იმ ოჯახს, რომელშიც ტყვე დათო სალარიძეს მალავდნენ, პრობლემები შეექმნა. და მას გამოუჩნდა ერთადერთი მფარველი... ტყვედნამყოფი დათო სალარიძე. ეს მფარველობა „ყველაფერს“ გულისხმობდა და... ახლაც გრძელდება.

და ერთიც: როცა ციხეში აღმოჩნდა ლოთი ქობალია, რომლის განკარგულებითაც (ალბათ) დაატყვევეს სალარიძე და მისი კოლეგები, ძალიან გაუჭირდა მის ოჯახს და... როგორ გგონიათ, ლოთიმ დახმარებისთვის მიმართა ვის?... გონიერებო, სწორად მიხვდით: კი, დათო სალარიძეს და... არც შემცდარა.

დეტალები სხვა დროს. აქ კომენტარები უადგილოა. ისევე, როგორც იმის შესახებ, თუ რა ზნეობრივი და ღირსეული პასუხი გასცა ერთ „ყოფილ ბოსს“, უსამართლოსა და ბოლმაჯერარგალეულს იმ არაკაცობისთვის, რომლითაც რამდენიმე წლით „დაამუხრუჭა“ სახელმწიფო აზროვნებითა და ქვეყნის სასიკეთო საქმეებით დატვირთული ახალგაზრდა კაცის ცხოვრება.

ანუ, დასკვნა ერთია: სახელმწიფო სამსახურს, პოლიტიკურ მოღვაწეობას, პრინციპულობას, სახელმწიფო ინტერესების დაცვას, მოქალაქეობრივ პოზიციაზე მუდმივ დგომას ხელს სულ არ უშლის უბრალო, ჩვეულებრივი ადამიანურობა!

მხოლოდ ერთი პირობით: ეს ადამიანურობა უნდა გაგაჩნდეს! ისევე, როგორც ღირსება!!! ეს ზნეკეთილობა ოჯახიშვილობიდან მოდის, სინდისი, წესიერება, პასუხისმგებლობის გრძნობა, უანგარო მეგობრობა, ულალატობა, ქვეყნის ერთგულება, პატრიოტიზმი ისეთივე მუდმივი ზნეობრივი კატეგორიებია, როგორიც დედაშვილობა... მამაშვილობა... დედმამიშვილობა!!!

როცა ეს თვისებები გაქვს გათავისებული, როცა ღირსეული კაცის ამ პრინციპებით ცხოვრობ, არაფერი(!!!) შეგეშლება (!!!) არც ოჯახთან, არც სამეგობროსთან, არც საქმესთან, არც ქვეყანასთან.

დიახ, არ შეგეშლება! არასოდეს!..

**ჰოდა, ამ პრინციპების შემხედვარე, 45-წლოვანი დაკვირვების შედეგად შეუმცდარად მისული ვარ ერთ საბოლოო, ურყევ დასკვნამდე: არაერთ ადამიანთან (მათ შორის ჩემთან) კოლეგიალური ურთიერთობიდან დაუფარავ ახლობლობასა და მეგობრობაში გადაზრდილი ურთიერთობის სულის შემბერი კაცი, ჩემი უმცროსი ძმა, 70 წლის დათო სალარიძე შეუშლელი კაცია. აბსოლუტურად!**



**ნუგზარ ფოფხაძე**

## ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალი 30 ოქტომბერს გაიხსნება



ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის გახსნის ოფიციალური ცერემონიას, რომელიც 30 ოქტომბერს აზერბაიჯანის დედაქალაქში შედგება საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი დაესწრება.

როგორც საქართველოში თურქეთის საელჩოში განმარტავენ, „საუკუნის პროექტად წოდებულ ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალზე პირველი ოფიციალური რეისი შესრულდება 30 ოქტომბერს ბაქოდან და ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი რეჯეფ ტაიპ ერდოღანი, აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი და საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი“.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს 100 გლობალურ პროექტს შორის, ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა მსოფლიოს ერთ-ერთ სტრატეგიულ პროექტად არის აღიარებული.

## პროკურატურაში აშშ-ში ოჯახურ დანაშაულზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის ექსპერტებთან შეხვედრა გაიმართა

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ამერიკის შეერთებულ შტატებში ოჯახურ დანაშაულზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაცია „Global Rights For Women“-ის ექსპერტებს უმასპინძლა, რომლებიც საქართველოში რისკის შეფასების სისტემის დანერგვაზე მუშაობენ. სტუმრები ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით საქართველოს პროკურატურაში მიმდინარე რეფორმებს გაეცნენ. მათვე მიეწოდათ ინფორმაცია ამ მიმართულებით საპროკურორო საქმიანობის, სისხლის სამართლის პოლიტიკის, პროკურორთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და პრევენციული ღონისძიებების შესახებ. პროკურატურის წარმომადგენლებმა „Global Rights For Women“-ს მადლობა გადაუხადეს ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით პროექტების მხარდაჭერისთვის. შეხვედრის დასასრულს მხარეებმა საქართველოს პროკურატურასა და „Global Rights For Women“-ს შორის მომავალში თანამშრომლობის პერსპექტივებზეც ისაუბრეს.



## „ცენტრ პოინტის“ საქმეზე მოლაპარაკებები გრძელდება

„ცენტრ პოინტის“ საქმეზე იურისტები ინვესტორებთან მოლაპარაკებებს ნოემბრის თვეში დაასრულებენ, შემდეგ კი საპროცესო შეთანხმებაზე დაიწყებენ მუშაობას. ამის შესახებ „ჯი-ეიჩ-ენს“ დების მაია რჩეულიშვილისა და რუსუდან კერვალიშვილის ადვოკატმა მარინა ცუცქირიძემ განუცხადა.

**„საქმე ათასობით დაზარალებულს და ძალიან დიდი რაოდენობით უძრავ ქონებას ეხება, ამიტომ ინვესტორებთან შეთანხმება ცოტა გაჭიანურდა. ყველაფერს დეტალურად გავდივართ, რომ არც ერთი დაზარალებული ყურადღების მიღმა არ დაგვრჩეს .თავიდან, როცა ეს პრობლემა დაიწყო, 6 000 დაზარალებული იყო. დაახლოებით, 2 000 „ცენტრ პოინტმა“ დააკმაყოფილა, შესაბამისად, დაზარალებულების სავარაუდო ციფრი 4 000-ია“,** — აცხადებს მარინა ცუცქირიძე.

ადვოკატს უჭირს ზუსტი თარიღის დასახელება, თუ როდის შეიძლება დები საპყრობილიდან გაათავისუფლონ. ვფიქრობთ, მაქსიმუმ ერთი თვე საკმარისი იქნება, რომ ეს ყველაფერი დასასრულს მიუახლოვდეს. როცა მხარეებს შორის ხელშეკრულება გაფორმდება, ამ ხელშეკრულებას პროკურატურაში წავიღებთ, რათა პროკურატურა დარწმუნდეს, რომ ამ ხელშეკრულებით მთავარი დაზარალებულების დაკმაყოფილებაა. ამის შემდეგი ნაბიჯი, ქალბატონ მაიასთან და რუსუდანთან მიმართებაში საპროცესო შეთანხმების გაფორმება იქნება.

# კიბოსგან განკურნებული 6 000 პაციენტი



## გერმანელი ონკოლოგის რევოლუციური მიგნება

**გერმანელი ონკოლოგი რაიკ ჰამერი შვილის გარდაცვალების შემდეგ, 1978 წელს სიმსივნით დაავადდა. ორმაგი შოკის შემდეგ, ის ეცადა თავი ხელში აეყვანა და ყველაფერი, როგორც პროფესიონალ და გამოცდილ ონკოლოგს, ისე შეეფასებინა. გამოკვლევებისა და საკუთარი ანალიზების შედეგად, ექიმი მივიდა დასკვნამდე, რომ სიმსივნე მას დიდი სტრესის გადატანის შედეგად გაუჩნდა.**

**იმისათვის, რომ საბოლოო დასკვნა გამოეტანა, ჰამერმა შეისწავლა სხვა პაციენტების გამომწვევი მიზეზები და აღმოაჩინა პირდაპირი კავშირი სტრესს, დაჩრდილვებს ტვინის გარკვეულ უბნებში, რომლებიც შოკის სპეციფიკურმა სახეობამ გამოიწვია და შესაბამის ორგანოებს შორის, სადაც სიმსივნე განვითარდა.**

**ონკოლოგმა ავადმყოფობის 40 000-ზე მეტ ისტორიაზე დაყრდნობით, მრავალი წლის მანძილზე შექმნა თეორია , რომლის თანახმადაც ყველა დაავადების საფუძველი ფსიქოლოგიური ტრავმის გარკვეული სახეობებია. ჰამერმა მას DIRK HAMER SYNDROME (DHS) უწოდა, თავისი ვაჟის დირკის სახელი, რომლის ტრაგიკული სიკვდილიც მისი დაავადების მიზეზი გახდა.**

საკუთარი (შვილის გარდაცვალებისა და შემდგომი ავადმყოფობის) და სხვების გამოცდილებიდან გამომდინარე, ონკოლოგმა გამოყო სიმსივნის გამომწვევი სინდრომის ცნება, ეს სტრესიც კი არაა, ეს არის უმძიმესი ფსიქოლოგიური ტრავმა. ავადმყოფობის 15 000 ისტორიაში მან შეძლო დოკუმენტურად აღეწერა კავშირი ამ საწყის სინდრომსა და დაავადების შემდგომ განვითარებას შორის.

ათასობით ისტორიის შესწავლა რაიკს დაეხმარა ე.წ. „კიბოს რკინის კანონის“ ფორმულირებაში, რომელსაც, მისი აზრით, წინ ვერაფერი აღუდგება. კიბოს ყოველი დაავადება იწყება DHS-ით. ის შოკის საკმაო და ბრუტალური ფორმით ვლინდება, ყველაზე დრამატული და მწვავე კონფლიქტის, რომელიც კი ადამიანს განუცდია მარტოობაში.

არსებითად გვევლინება კონფლიქტის ან ფსიქიკური ტრავმის სახეობა, გამოვლენილი DHS-ის მომენტში, თავისი მახასიათებლებით, რომლებიც შემდეგნაირად განისაზღვრება: ჰამერის ფოკუსი ტვინის სპეციფიკური უბანია, რომელიც ფსიქიკური ტრავმის ზემოქმედებით სერიოზულად დაზიანდა და შედეგად დაიწყო ორგანოებში კანცეროგენული უჯრედების გამრავლება, ტვინის გარკვეული უბნის მიხედვით.

დაავადების ლოკალიზაცია კონკრეტულ ადგილას ხდება. არსებობს ორგვარი პირდაპირი კავშირი კონფლიქტის ევოლუციასა და კიბოს განვითარებას შორის – გონებრივი და ორგანული.

მეორე და მესამე კონფლიქტური ვითარება DHS-სთან, შესაძლებელია პირველ კონფლიქტთან იყოს კავშირში. კიბოს დიაგნოზმა შეიძლება, გამოიწვიოს სიკვდილის უეცარი შიში, რომელიც წრიული ჩრდილების გაჩენით აისახება ფილტვებზე ან ძვლებზე კიბოს სახით. ჰამერის აზრით, ეს არ არის მეტასტაზები, ეს არის ახალი სიმსივნური წარმონაქმნები, რომლებიც ახალმა ფსიქიკურმა სტრესმა გამოიწვია.

იმ მომენტში, როდესაც კონფლიქტი დადებითად გადაწყდება, ხდება პოლარობის ინვერსია და ტვინის ფუნქციის მოშლა, შეშუპების წარმოქმნა. ამავე დროს გონების კომპიუტერის არასწორი კოდირების გამო ანარქიულად გამრავლებადი უჯრედები აღარ ახდენენ ინერვირებას ამ შეცდომითი კოდირების გამო და სიმსივნე ზრდას აჩერებს. უკუპროცესს თან ახლავს შეშუპების განვითარება სიმსივნის მიდამოში, ასციტი(სითხის დაგროვება) და ტკივილი.

როდესაც ემორჩილება გადაწყობილ ნერვულ სიგნალებს, ორგანიზმი იწყებს პრობლემურ ადგილებზე გარდაქმნის ხანგრძლივ პროცედურას შეშუპების წარმოქმნის გზით: უბრუნდება ნორმალური ძილი და მადა, თუმცა სისუსტისა



და დაღლილობის შეგრძნებამ შეიძლება, მცდარ დიაგნოზამდეც მიგვიყვანოს.

აღდგენითი პერიოდის დროს შეიძლება სხვადასხვა სახის ცერებრალური გართულებები განვითარდეს, რაც დამოკიდებულია კონფლიქტის მოგვარების ხანგრძლივობასთან და ჰამერის ფოკუსის ლოკალიზაციასთან. შეშუპების დროს აუცილებელია ამოღებული იქნას ალკოჰოლი, კორტიზონის პრეპარატები, შარდმდენები და ყავა. გამოიყენება ანთების საწინააღმდეგო პრეპარატები: ზოგჯერ ყინული, რომელსაც ყელზე და შუბლზე ისმევენ. ასეთ დროს სითხის მოხმარება მკაცრად უნდა გაკონტროლდეს და გარკვეული დოზით შემოიფარგლოს.

**დღემდე ექიმები იცავდნენ დაუწერელ კანონს, რომლის მიხედვითაც ავადმყოფი არ უნდა დაიტანჯოს ტკივილებით, რომლებიც სიკვდილის წინ იწყება და ყველაზე საშინლად ითვლება, რომელიც 4-6 კვირის განმავლობაში გრძელდება. ავადმყოფისათვის მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ ტკივილის სინდრომი ინდივიდუალურია ყველა პაციენტისათვის და თუ ადამიანს ესმის, რომ ეს არის ავადმყოფობის შუალედური პერიოდი, ის შეძლებს თავი შეიკავოს წამლების მიღებისგან და ფსიქოლოგიურად გაძლიერდეს იმ იმედით, რომ გვირაბის ბოლოს სინათლეს იხილავს.**

**ჰამერი თანამედროვე მედიცინაში ყველაზე საშინელ პრინციპად ონკოლოგიური დაავადების დროს მორფის გამოყენებას თვლის. დაავადების შედარებით ადრეულ სტადიაშიც კი მცირე ტკივილის დროს მორფის ან სხვა მსგავსი პრეპარატის ერთი დოზის მიღებაც კი შეიძლება ფატალური აღმოჩნდეს.**

**კომპიუტერული ტომოგრაფია ტვინის DHS ტრავმებს კონცენტრიკული წრეების სახით აჩვენებს. რადიოლოგებმა შეიძლება, ამას არასწორი ინტერპრეტაცია მისცენ, ჩათვალონ, რომ ეს არის მეტასტაზები, ეს კი ჰამერის აზრით, ნიშნავს რომ უამრავ ხალხს ტვინის კიბოს მცდარი დიაგნოზის გამო უსარგებლო ოპერაციები გაუკეთეს.**

დღემდე ექიმები იცავდნენ დაუწერელ კანონს, რომლის მიხედვითაც ავადმყოფი არ უნდა დაიტანჯოს ტკივილებით, რომლებიც სიკვდილის წინ იწყება და ყველაზე საშინლად ითვლება, რომელიც 4-6 კვირის განმავლობაში გრძელდება. ავადმყოფისათვის მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ ტკივილის სინდრომი ინდივიდუალურია ყველა პაციენტისათვის და თუ ადამიანს ესმის, რომ ეს არის ავადმყოფობის შუალედური პერიოდი, ის შეძლებს, თავი შეიკავოს წამლების მიღებისგან და ფსიქოლოგიურად გაძლიერდეს იმ იმედით, რომ გვირაბის ბოლოს სინათლეს იხილავს.

ჰამერი თანამედროვე მედიცინაში ყველაზე საშინელ პრინციპად ონკოლოგიური დაავადების დროს მორფის გამოყენებას თვლის. დაავადების შედარებით ადრეულ სტადიაშიც კი მცირე ტკივილის დროს მორფის ან სხვა მსგავსი პრეპარატის ერთი დოზის მიღებაც კი შეიძლება ფატალური აღმოჩნდეს.

„ახალი გერმანული მედიცინის“ თანახმად ორგანიზმი ავადმყოფობის დროს რამდენიმე სტადიას გადის.

DHS-ს საწყისი ინიცირების შემდეგ დგება დაავადების კონფლიქტურ-აქტიური ფაზის პერიოდი (CA-Conflict Active phase). ეს ფაზა დაკავშირებულია უძილობასთან, უმადობასთან და სხვადასხვა ვეგეტატიურ დარღვევასთან, რომლებიც მრავალი დაავადების გამომწვევია. ფაზა CA შეიძლება, გაგრძელდეს წლები და დროთა განმავლობაში ორგანიზმი გაანადგუროს.

კონფლიქტის მოგვარების ეტაპს ჰამერმა CL (Conflictolysis – კონფლიქტის განადგურება) უწოდა. აქ მთავრდება CA ფაზა და იწყება აღდგენითი პერიოდი. ფაზა, რომელიც იწყება CL-ით, ორგანოების ქსოვილების მთლიანი აღდგენის პერიოდია, რომელსაც ჰამერმა PCL (Post Conflicolytic phase-პოსტკონფლიქტური) უწოდა.

ამ დროის განმავლობაში ორგანიზმი თავიდან იშორებს უვარგის კიბოს ან ნეკროტიზირებულ უჯრედებს(ჰამერის თეორია კიბოს გარდა სხვა დაავადებებსაც აკვირდება).

ეს გენერალური დასუფთავება მიკრობების მიერ მიმდინარეობს. PCL პერიოდში ჩვენ მიკრობები გვიტევენ და იწვევენ ინფექციას, ამასთან ერთად, მოქმედებენ, ფაქტობრივად, სიმბიოზურად და ათავისუფლებენ ორგანიზმს „ნაგვისგან“. იმას, რასაც მედიცინა ინფექციურ დაავადებას უწოდებს, ჰამერმა **„ეპილეპტიკური კრიზისი“** უწოდა.

ჰამერის თეორიის მიხედვით, მიკრობი-დამსუფთავებლები ვერ მოახერხებენ მოქმედებას, თუ არასწორად კოდირებულ სიგნალს მიიღებენ ტვინიდან. სტრესული დაძაბულობა მათ ქსოვილის შიგნით არ უშვებს.

ზემოთ თქმულს თუ დავუბრუნდებით, მორფის ერთი დოზა EC ფაზის დროს შეიძლება, ფატალური აღმოჩნდეს, რადგან ჰამერის თეორიის მიხედვით, ეს დოზა ტვინის ფუნქციონირებას ცვლის, კუჭის მუშაობას და ორგანიზმის აღდგენით ფუნქციონირებას პარალიზებას უკეთებს. ლეთარგიულ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი ვერ აცნობიერებს მორფის მომაკვდინებელ მოქმედებას სწორედ იმ პერიოდში, როცა ის გამოჯანმრთელების გზაზე იდგა. მეორე პერიოდის დროს ტკივილი მართლა კარგი ნიშანია, რადგან ეს არის აღდგენითი პროცესი, მაგრამ მედიცინა ამას ვერ აცნობიერებს.

არ არის გამორიცხული, რომ DHS-ით გამოწვეული კიბოს დაავადების შემთხვევები თავისი განვითარების რაღაც ეტაპზე ჩერდება, უფრო ადრე, სანამ მისი დიაგნოსტირება მოხდება. ეს დაკავშირებულია კონფლიქტის დადებითად გადაჭრასთან. ამ შემთხვევებში ერთადერთი საშიშროება ისაა, რომ არ მოხდეს კაფსულირებული კიბოს არასწორი დიაგნოსტირება. კიბოს დიაგნოზის გაცხადების დროს DHS ტრავმამ შეიძლება ფილტვებში გამოიწვიოს ლაქები. ამით გამოჯანმრთელების გზაზე მდგარი პაციენტი შესაძლებელია ისევ უკან, საერთო თერაპიის ციკლისკენ გადავისროლოთ. მწვავე ლეიკემიაც DHS ტრავმის შედეგია.

კომპიუტერული ტომოგრაფია ტვინის DHS ტრავმებს კონცენტრიკული წრეების სახით აჩვენებს. რადიოლოგებმა შეიძლება ამას არასწორი ინტერპრეტაცია მისცენ, ჩათვალონ, რომ ეს არის მეტასტაზები, ეს კი ჰამერის აზრით, ნიშნავს, რომ უამრავ ხალხს ტვინის კიბოს მცდარი დიაგნოზის გამო უსარგებლო ოპერაციები გაუკეთეს.

კონფლიქტური სიტუაციის გადაჭრის პროცესში ჰამერი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ფიზიოთერაპიას. ტოქსინები და წამლები კი პირიქით, დესტრუქციულად მოქმედებენ.

„ახალი გერმანული მედიცინის“ პარადოქსულობა იმაში მდგომარეობს, რომ მალიგნიზაციის მექანიზმი შოკის შედეგად გარკვეულ ეტაპზე ორგანიზმისთვის სასარგებლოც კია, მაგრამ რადიო და ქიმიათერაპია პროცესს აძლიერებს და ხელს უშლის კონფლიქტის გადაწყვეტას და ორგანიზმის აღდგენას.

თავისი მეთოდიკის გამოყენებით ექიმმა 6000 პაციენტი მთლიანად განკურნა თავისი თავისა და ცოლის ჩათვლით.

პროფესორი და მედიცინის დოქტორი, 15 წელი მუშაობდა კონვენციალურ მედიცინაში, ასევე თავისი დროის ნაწილი სპეციალური სამედიცინო ინსტრუმენტარიის შემუშავებას მიუძღვნა.

რაიკის რევოლუციური თეორია მედიცინის სამყაროსათვის იმდენად მოულოდნელი და შურის გამომწვევი აღმოჩნდა, რომ მასზე სისხლის სამართლის დევნა დაიწყო.

2004 წლის 9 სექტემბერს, რაიკ ჰამერი ესპანეთში დააპატიმრეს და მისი ექსტრადირება საფრანგეთში მოხდა. 70 წლის პროფესორს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ფორმალურად მას ბრალი ედებოდა ლიცენზიის გარეშე კერძო სამედიცინო პრაქტიკის გამო, გარდა ამისა, მისგან მოითხოვდნენ „German New Medicine“-ის პრინციპების უარყოფას და ბრალს სდებდნენ მისი მეთოდით მკურნალობის შედეგად ბევრი ადამინის სიკვდილში.

პროფესორის დაპატიმრებამ მრავალრიცხოვანი პროტესტი გამოიწვია, მათ შორის, მსხვილი სამედიცინო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მხრიდანაც. მეთოდმა – „German New Medicine“ წარმატებით გაიარა შემოწმება ისეთ დაწესებულებებში, როგორიცაა Universities of Vienna (1986), Duesseldorf (1992) და Trnava / Bratislava (1998), სადაც შთამბეჭდავი და დამაჯერებელი შედეგები აჩვენა.

საზოგადოების ზეწოლის შედეგად, 2006 წლის თებერვალში რაიკ ჰამერი პატიმრობიდან გაათავისუფლეს.

PRESA.GE

# სატენდერო განცხადება

## 63 მვა, 400 კვ ტრანსფორმატორის №20-T-02 კონსერვაციის და 63 მვა 400 კვ ტრანსფორმატორის №20-T=01 ტექნიკური მდგომარეობის შეფასების მომსახურების შესყიდვის შესახებ, ახალციხის (ახალციხე-500) გარდამქმნელ ქვე-სადგურში

შპს „ენერგოტრანსი" აცხადებს 63 მვა, 400 კვ ტრანსფორმატორის №20-T-02 კონსერვაციის და 63 მვა, 400 კვ ტრანსფორმატორის №20-T=01 ტექნიკური შეფასების მომსახურების შესყიდვის ტენდერს, ახალციხის (ახალციხე-500) გარდამქმნელ ქვე-სადგურში.

სატენდერო პროცედურა ჩატარდება შპს „ენერგოტრანსის" „საქონლის, მომსახურების და სამუშაოების შესყიდვის წესის" შესაბამისად.

მომსახურების მიზანს წარმოადგენს ტრანსფორმატორის (ქარხნული ნომრით № 30T110119.02) მოქმედი ნაწილების და ასაწყობი ნაწილების კონსერვაცია, საიზოლაციო დეტალების, საშუალო ძაბვის და დაბალი ძაბვის ელ. გრაგნილების და მაგნიტური სადენის დაცვის მიზნით, ახალციხის (ახალციხის-500) გარდამქმნელ ქვე-სადგურში.

მომსახურება მოიცავს შემდეგ საქმიანობას:

| N | მომსახურების ტიპი | განზომილების ერთეული | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| I | **63 მვა, 400 კვ ტრანსფორმატორის #20-T-02 კონსერვაცია** | | |
| 1 | მოსამზადებელი სამუშაოები | ლოტი | 1 |
| 2 | ტრანსფორმატორის მაგნიტური სადენის აწყობა | ლოტი | 1 |
| 3 | ბარიერის და ელ. უღელის იზოლაციის კონსერვაცია | ლოტი | 1 |
| 4 | მოქმედი ნაწილის მონტაჟი ავზში | ლოტი | 1 |
| 5 | მოქმედი ნაწილის კონსერვაცია ტრანსფორმატორის ავზში | ლოტი | 1 |
| 6 | ასაწყობი ნაწილების კონსერვაცია | ლოტი | 1 |
| II | 63 მვა, 400 კვ ტრანსფორმატორის #20-T=01 ტექნიკური მდგომარეობის შეფასება ახალციხის (ახალციხე-500) გარდამქმნელ ქვე-სადგურში | ლოტი | 1 |

კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველი, ზეთის დაღვრის აღმოფხვრის გარანტიით, შემსყიდვლის მიერ მომსახურების მიღებიდან 12 თვის განმავლობაში.

ტენდერის მონაწილეებს შეუძლიათ გაითვალისწინონ 1 თვიდან 2 თვემდე დროის მონაკვეთი მომსახურების განხორციელებისთვის. მომსახურების განხორციელების დრო გათვალისწინებული იქნება, როგორც შეფასების კრიტერიუმი 0.3 პრიორიტეტულობის კოეფიციენტით. ტენდერის იმ მონაწილეებს, რომელთა შემოთავაზების მიხედვით, მომსახურების განხორციელება გათვალისწინებულია 1 თვის ვადაში, მიენიჭებათ მაქსიმალური - 10 ქულა ამ კრიტერიუმისათვის.

აღნიშნული მომსახურებისთვის წარმოდგენილ ფასში გათვალისწინებული უნდა იყოს მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა სახის ხარჯი. ფასში გათვალისწინებული უნდა იყოს საქართველოს კანომდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი.

ფაქტიურად გაწეული მომსახურების (ფასების ცხრილის მიხედვით) ანაზღაურება განხორციელდება ლარში, საბანკო გადარიცხვის გზით, მომსახურების დასრულებაზე საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და შესაბამისი ინვოისის წარმოდგენიდან 20 სამუშაო დღის ვადაში.

ტენდერის მონაწილის გამოცდილება სატენდერო მოთხოვნების მიხედვით: ტენდერის მონაწილე უნდა ფლობდეს 400 (500) კვ ტრანსფორმატორების წარმოების და/ან შეკეთების მინიმუმ ხუთ (5) წლიან გამოცდილებას. სავალდებულოა ტენდერის მონაწილის, როგორც მწარმოებლის და/ან შემკეთებლის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა (ისეთი დოკუმენტები, როგორის არის წარმოებული და/ან შეკეთებული ტრანსფორმატორების ნუსხა და სხვ.).

ფასის კლების ბიჯი (შემდგომში: „ბიჯი") ზეპირი ვაჭრობის დროს შეადგენს 2,000.00 (ორი ათასი) ლარს. ზეპირი ვაჭრობის ჩატარების ადგილი: ბარათაშვილის ქ. №2, 0105, თბილისი, საქართველო, შემსყიდველის ოფისი.

ტენდერის მონაწილეებმა საკუთარ სატენდერო წინადადებებთან ერთად უნდა წარმოადგინონ სატენდერო წინადადების გარანტია - **საბანკო გარანტია.** აღნიშნული საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას უნდა აღემატებოდეს მინიმუმ **30 კალენდარული დღით.** სატენდერო გარანტიის თანხა უნდა შეადგენდეს **6,000 ლარს (ექვსი ათასი).**

ტენდერის იმ მონაწილემ, რომელსაც შემსყიდველი გაუფორმებს კონტრაქტს, უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების გარანტია - საბანკო გარანტია - **ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3 %-ის ოდენობით.**

სატენდერო დოკუმენტის მისაღებად, დაინტერესებულმა პირებმა უნდა გადაიხადონ არანაზღაურებადი 50 (ორმოცდაათი) ლარი, შპს „ენერგოტრანსის" ქვემოთ მითითებულ ანგარიშზე:

**სს „თი-ბი-სი ბანკი"**
**კოდი: TBCBGE22**
**ბანკის ანგარიში: GE37TB7731436030100001**
**მიმღები: შპს „ენერგოტრანსი"**
**დანიშნულება: სატენდერო დოკუმენტის საფასური ტენდერისათვის: T02 S -01/2017**

ზემოთ აღნიშნული, არანაზღაურებადი თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ, სატენდერო დოკუმენტის მიღება შესაძლებელი იქნება შპს „ენერგოტრანსის" ოფისში, ქვემოთ მითითებულ მისამართზე, შესყიდვის შესახებ განცხადების გამოქვეყნების შემდეგ, 2017 წლის 9 ნოემბრის 18:00 სთ-მდე.

**შემსყიდველის მისამართი:**
**შპს „ენერგოტრანსის" მისამართი:**
**ბარათაშვილის ქ. #2,0105, თბილისი, საქართველო**
**ტელ: +(99532)2510391**
ელ. ფოსტა: m.gikoshvili@energotrans.com.ge

სატენდერო წინადადებები და საკვალიფიკაციო ინფორმაცია ტენდერის მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ ზემოთ მითითებულ მისამართზე, არაუგვინეს 2017 წლის 10 ნოემბრის 15:00 საათისა, ადგილობრივი დროით. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება 2017 წლის 10 ნოემბერს, ადგილობრივი დროით 15:00 სთ-ზე, ტენდერის იმ მონაწილეების თანდასწრებით, რომლებიც მოისურვებენ დასწრებას. დაგვიანებული სატენდერო წინადადებები არ მიიღება.

სატენდერო წინადადება, ყველა საჭირო დოკუმენტების ჩათვლით, წარმოდგენილი უნდა იყოს ინგლისურ ენაზე. სატენდერო წინადადების წარმოდგენა უნდა მოხდეს დალუქული კონვერტით, რომელზეც მითითებული იქნება შემდეგი ინფორმაცია: ვის: შპს „ენერგოტრანსის" სატენდერო კომისიას, ტენდერის მონაწილის დასახელება, სატენდერო პროცესის დასახელება, ტენდერის # T02 S01/2017.

ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ტენდერის მონაწილეებმა საკუთარ სატენდერო წინადადებებთან ერთად, უნდა წარმოადგინონ შემდეგი საკვალიფიკაციო ინფორმაცია:

**ტენდერის მონაწილეებმა საქართველოდან:**

**ა) კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის და ინდ. მეწარმეებისათვის:**

1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან;
2. ცნობა საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
3. პრეტენდენტის რეკვიზიტები: მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომრები.

**ბ) საჯარო სამართლის იურიდიული პირებისთვის:**

1. ცნობა საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
2. პრეტენდენტის რეკვიზიტები: მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომრები.

**გ) ფიზიკური პირებისთვის:**

1. ცნობა საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
2. პრეტენდენტის რეკვიზიტები: მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომრები.

**ტენდერის უცხოელი მონაწილეებისთვის:**

1. პრეტენდენტის იურიდიული სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც გაცემული უნდა იყოს ტენდერის მონაწილის ქვეყნის შესაბამისი უწყების მიერ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
2. პრეტენდენტის რეკვიზიტები: მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომრები.

სატენდერო წინადადებები არ მიიჩნევა მისაღებად და არ დაექვემდებარება შემდგომ შეფასებას, იმ შემთხვევაში, თუ:

- ტენდერის მონაწილე არ წარმოადგენს ყველა სახის საჭირო დოკუმენტაციას (დამხმარე დოკუმენტაციასთან ერთად) და/ან ინფორმაციას, რომელიც ექვემდებარება სავალდებულო წარმოდგენას, მოცემული შესყიდვების განცხადების და სატენდერო დოკუმენტის მიხედვით;
- სატენდერო კომიიის მოთხოვნის საფუძველზე ტენდერის მონაწილე ვერ დააზუსტებს, შეავსებს, წარმოადგენს, ან დაადასტურებს საკვალიფიკაციო ინფორმაციას, რაც გათვალისწინებულია შესყიდვების მოცემული განცხადების მიხედვით;
- ტენდერის მონაწილე უარს აცხადებს სატენდერო კომისიის მიერ მის სატენდერო წინადადებაში გამოვლენილი არითმეტიკული (მექანიკური) შეცდომების გასწორებაზე;
- სატენდერო წინადადება და/ან საკვალიფიკაციო ინფორმაცია არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტით და/ან მოცემული შესყიდვების განცხადებით განსაზღვრულ მოთხოვნებს;
- ტენდერის მონაწილე იყენებს არასამართლიან პრაქტიკას, შესყიდვების პროცესში;
- ტენდერის მონაწილის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები, ან სატენდერო წინადადებაში წარმოდგენილი მონაცემები, ან მათი დამადასტურებელი დოკუმენტები, აღმოჩნდება ყალბი.

იმ შემთხვევაში, თუ ტენდერის მონაწილის სატენდერო წინადადება შესაბამისობაშია სატენდერო დოკუმენტის ტექნიკურ მოთხოვნებთან, შესაძლებელი იქნება ტენდერის მონაწილის სატენდერო წინადადების დაზუსტება, ან შევსება, ან მოთხოვნილი საკვალიფიკაციო ინფორმაციის ხელახალი წარმოდგენა, სატენდერო წინადადების არსის ცვლილების გარეშე, სხვა შემთხვევაში სატენდერო წინადადება არ მიიღება შესაფასებლად.

ტენდერის მონაწილემ უნდა წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება. ალტერნატიული სატენდერო წინადადებების მიღება არ არის ნებადართული.

დაინტერესებულ იურიდიულ პირებს შეუძლიათ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტს შემსყიდველის ოფისში, სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადამდე.

მოცემული განცხადება შესყიდვის შესახებ ასევე გამოქვეყნდება შემსყიდველის ვებ-გვერდზე: www.energotrans.com.ge

დამატებითი ინფორმაცის მიღება შესაძლებელია შპს „ენერგოტრანსის" ოფისში, ზემოთ მითითებულ მისამართზე.

**საკონტაქტო პირები:**

მაია გიქოშვილი, შპს „ენერგოტრანსის" დირექტორის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი, ელ. ფოსტა: m.gikoshvili@energotrans.com.ge

თეა ტორიაშვილი, შესყიდვების მენეჯერი, ელ. ფოსტა: t.toriashvili@energotrans.com.ge

# Procurement Notice for

## Procurement of Services for Conservation of 63 MVA, 400 kV Transformer, No. #20-T-02 and Evaluation of technical condition of 63 MVA, 400 kV, Transformer #20-T=01 at Converter Station Akhaltsikhe-500

"Energotrans" Ltd announces Bidding for Procurement of Services for Conservation of 63 MVA, 400 kV Transformer, No. #20-T-02 and Evaluation of technical condition of 63 MVA, 400 kV, Transformer #20-T=01 at Converter Station Akhaltsikhe-500.

The Bidding procedure will be conducted in accordance with the "Rule of Procuring goods, services and works by "Energotrans" Ltd.

The objective of the services is conservation of active parts and assembly units of Transformer with the Factory Number 30T110119.02 for protection of insulation details, MV (Medium Voltage) and LV (Low Voltage) windings and coil flux guide at Akhaltsikhe-500 Converter Station.

The services comprise the following activities:

| N | Type of Service | Measurement Unit | Q-ty |
|---|---|---|---|
| I | **Conservation of 63 MVA, 400 kV Transformer, No. #20-T-02** | | |
| 1 | Preparatory works | Lot | 1 |
| 2 | Assembling of coil flux guide of Transformer | Lot | 1 |
| 3 | Conservation of barrier and yoke insulation | Lot | 1 |
| 4 | Installation of active part at the tank | Lot | 1 |
| 5 | Conservation of active part at the transformer tank | Lot | 1 |
| 6 | Conservation of assembling units | Lot | 1 |
| II | Evaluation of technical condition of 63 MVA, 400 kV, Transformer #20-T=01 at Converter Station Akhaltsikhe-500 | Lot | 1 |

The Contactor shall provide the Purchaser with warranty for the elimination of oil leakage within 12 months period after acceptance of services by the Purchaser.

The Bidders are allowed to propose delivery period of service from 1 months up to 2 months period. Delivery Term will be used as an evaluation criteria with the priority ratio of 0.3. Bidders offering service delivery within 1 month period will be awarded the maxim grade of 10 for this criteria.

The Price for above mentioned services shall be submitted considering all associated costs. The prices should comprise all taxes envisaged under Georgian Legislation.

The payment for the actually provided services (as per the Table of prices) will be made in GEL by bank transfer within 20 working days from the date of signing the Final Acceptance Certificate for completion of services and submission of relevant invoice.

Required experience of the Bidder: The Bidder should have at least five (5) years of experience in manufacturing and/or repairing 400 (500) kV transformers. Document proving Bidders experience in manufacturing and/or repairing shall be submitted (documents such as: list of produced and/or repaired transformers, etc.).

Price reduction step during Oral trading (reverse Auction) (later "step") is GEL 2,000.00 (two thousand. The place for conducting the Oral Trading (Reverse Auction) is: 2, Baratashvili Str., Tbilisi, 0105, Georgia, Office of the Purchaser.

The Bidders shall furnish with their Bid a Bid Security - **Bank Guarantee -** with the validity period of at least by **30 calendar days more** than the validity of the Bid submitted by Bidder. The amount of Bid Security shall be **GEL 6000 (six thousand).**

The Bidder who will be awarded the contract shall furnish a performance security – Bank Guarantee – in the amount of of **3% of the total contract price.**

For obtaining Tender Document the interested Entities shall pay non-refundable fee in the amount of GEL 50 (fifty) on the following bank account of "Energotrans" Ltd:

"TBC Bank" JSC
Code: TBCBGE22
Bank Account: GE37TB7731436030100001
Beneficiary: "Energotrans" Ltd
Purpose: Bidding Document fee for the Bidding: T02 S -01/2017

Upon submission of document proving the payment of abovementioned non-refundable fee the Bidding Document shall be obtained in the office of "Energotrans" Ltd on the address indicated below from the date of Procurement Notice Publication until November 09, 2017, 18:00.

**Address of the Purchaser:**
**Office of "Energotrans" Ltd**
**2, Baratashvili Str., Tbilisi, 0105, Georgia**
**Tel: +(99532)2510391**
**E-mail: m.gikoshvili@energotrans.com.ge**

Bidders' Bids and Qualification Information shall be submitted by the Bidders on the address indicated above on or before November 10, 2017, 15:00 local time. The Bids will be opened on November 10, 2017, 15:00 local time in the presence of those Bidders who choose to attend. Late Bids will be rejected.

The Bid including all necessary documents shall be submitted in English language. The Bid shall be submitted in a sealed envelope indicating the following information: To: Bidding Commission of "Energotrans" Ltd, Name of the Bidder, Name of the Bidding Process, Bidding # T02 S01/2017.

For participation in the Bidding the Bidders should submit the following qualification information together with their Bid:

**For Georgian Bidders:**

**a) For legal entities and individual entrepreneurs of private law:**

1. Extract from the Register of Entrepreneurs and Non-Entrepreneurial (non-commercial) Legal Persons;
2. Certificate of public/legal restrictions (from National Agency for Public Registry)
3. Bidders (identification) details: address, ID code, bank details, telephone number, e-mail.

**b) For Legal Entities under Public Law:**

1. Certificate of public/legal restrictions (from National Agency for Public Registry)
2. Bidders (identification) details: address, ID code, bank details, telephone number, e-mail.

**c) For physical persons:**

1. Certificate of public/legal restrictions (from National Agency for Public Registry);
2. Bidders (identification) details: address, ID code, bank details, telephone number, e-mail.

**For foreign Bidders:**

1. Document indicating legal status of the Bidder issued by the relevant body of the Bidder's country in accordance with the applicable law;
2. Bidders (identification) details: address, ID code, bank details, telephone number, e-mail.

The Bids will not be considered as acceptable and will not be allowed for further evaluation in the following cases:

- If the Bidder fails to submit all necessary documents (with supporting documentation) and/or information required by this procurement notice and Bidding Document;
- If in case of the request of the Bidding Commission the Bidder fails to specify, complete, submit or reconfirm the qualification information required by this procurement notice;
- If the Bidder refuses to correct arithmetical (mechanical) errors revealed in its Bid by Bidding Committee;
- If the Bid and/or qualification information are incompliant with the requirements prescribed in the Bidding Document and/or this procurement notice;
- If there is noted applying of unfair practice by the side of the Bidder in the process of procurement;
- Qualification data submitted by Bidder or the data given in the Bid, or the documents confirming them are found out to be false.

In case when the Bidder's Bid is in compliance with the technical requirements of the Bidding Document it is allowed to specify or complete the Bidder's Bid or re-submit required qualification information without changing the Bid's substance, otherwise The Bid will not be considered for evaluation.

The Bidder should submit only one Bid. Alternative Bids are not allowed.

Interested Legal entities may familiarize with the Bidding Document in the office of the Purchaser until the deadline for Bid submission.

This procurement Notice will be also published on the website of the Purchaser: www.energotrans.com.ge

Additional information could be obtained in the office of "Energotrans" Ltd at the address indicated above.

**Contact persons:**

Maia Gikoshvili, Deputy Director of "Eenergotrans" Ltd, Bid Commission Member, E-mail: m.gikoshvili@energotrans.com.ge

Tea Toriashvili, Procurement Manager, E-mail: t.toriashvili@energotrans.com.ge

# სააქციო საზოგადოება „საქსაშენმეცნიერება“

## ფინანსური ანგარიშგება

## 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სს „საქსაშენმეცნიერება“
**მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება**
2016 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება | შენიშვნა | 31.12.2015 (არა-აუდიტირებული) | 31.12.2016 |
|---|---|---|---|
| | | | |
| **აქტივები** | | | |
| | | | |
| ფული და ფულადი ექვივალენტები | 6 | 52 542 | 26 892 |
| დებიტორული დავალიანება | 7 | 21 274 | 33 945 |
| სასაქონლო მატერიალური მარაგები | | 1 292 | 1 292 |
| სხვა აქტივები | | 29 | - |
| წინასწარ გადახდილი გადასახადები | 8 | 1 629 | 2 672 |
| **ჯამურად მიმდინარე აქტივები** | | **76 766** | **64 802** |
| | | | |
| ფიქსირებული აქტივები | 9 | 3 173 388 | 3 165 616 |
| **ჯამურად გრძელვადიან აქტივები** | | **3 173 388** | **3 165 616** |
| | | | |
| **სულ აქტივები** | | **3 250 154** | **3 230 418** |
| | | | |
| **ვალდებულებები** | | | |
| | | | |
| კრედიტორული დავალიანება | | 2 136 | 3 002 |
| გადასახდელი გადასახადები | 10 | 6 223 | 2 720 |
| გადასახდელი დივიდენდები | | 24 599 | 28 765 |
| **ჯამურად მოკლევადიანი ვალდებულებები** | | **32 958** | **34 487** |
| | | | |
| **სულ ვალდებულებები** | | **32 958** | **34 487** |
| | | | |
| **კაპიტალი** | | | |
| | | | |
| სააქციო კაპიტალი | | 3 166 310 | 3 166 310 |
| გაუნაწილებელი მოგება | | 50 885 | 29 621 |
| **სულ კაპიტალი** | | **3 217 195** | **3 195 931** |
| | | | |
| **სულ ვალდებულებები და კაპიტალი** | | **3 250 153** | **3 230 418** |

დირექტორი
**დიმიტრი ტყეშელაშვილი**

*09 ივნისი, 2017*
*თბილისი, საქართველო*

ბუღალტერი
**მაია პაპიძე**

*09 ივნისი, 2017*
*თბილისი, საქართველო*

სს „საქსაშენმეცნიერება“
**ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება**
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

| ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება | 31.12.2015 (არა-აუდიტირებული) | 31.12.2016 |
|---|---|---|
| მოგება დაბეგრვამდე | 104 095 | 66 503 |
| ***კორექტირებები:*** | | |
| ცვეთა და ამორტიზაცია | 12 998 | 11 642 |
| მოგების გადასახადი | - | (12 767) |
| **ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებამდე** | **117 092** | **65 377** |
| ცვლილებები დებიტორულ დავალიანებაში | (5 236) | (12 671) |
| ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებაში | 999 | 866 |
| ცვლილებები სხვა აქტივებში | - | 29 |
| ცვლილებები წინასწარ გადახდილ გადასახადებში | (1 629) | (1 043) |
| ცვლილებები გადასახდელ გადასახადებში | 4 853 | (3 504) |
| **სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან** | **116 079** | **49 054** |
| **ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან** | | |
| ფიქსირებული აქტივების შეძენა/ ჩამოწერა | (627) | (3 870) |
| **სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან** | **(627)** | **(3 870)** |
| **ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან** | | |
| დივიდენდის გაცემა | (111 633) | (70 834) |
| **სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან** | **(111 633)** | **(70 834)** |
| **ფულისა და ექვივალენტების ნეტო ცვლილება** | **3 819** | **(25 650)** |
| | | |
| ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში | 48 723 | 52 542 |
| | | |
| **ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს** | **52 542** | **26 892** |

დირექტორი
**დიმიტრი ტყეშელაშვილი**

*09 ივნისი, 2017*
*თბილისი, საქართველო*

ბუღალტერი
**მაია პაპიძე**

*09 ივნისი, 2017*
*თბილისი, საქართველო*

სს „საქსაშენმეცნიერება“
**მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება**
2016 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

| მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება | შენიშვნა | 12 თვე, 2015 წ.არა-აუდიტირებული | 12 თვე, 2016 წ. |
|---|---|---|---|
| | | | |
| შემოსავალი იჯარიდან | | 273 862 | 259 257 |
| შემოსავალი სამშენებლო მასალების შემოწმების მომსახურებიდან | | 31 578 | 12 962 |
| | | | |
| **სულ რეალიზაცია** | | **305 440** | **272 219** |
| | | | |
| საოპერაციო ხარჯები | 11 | 195 190 | 187 996 |
| ცვეთის ხარჯი | | 12 998 | 11 642 |
| | | | |
| **სულ საოპერაციო ხარჯები** | | **208 188** | **199 638** |
| | | | |
| არასაოპერაციო მოგება | | 7 764 | 2 571 |
| არასაოპერაციო ზარალი | 12 | (921) | (8 649) |
| | | | |
| **სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი** | | **6 843** | **(6 079)** |
| | | | |
| **მოგება დაბეგრვამდე** | | **104 095** | **66 503** |
| | | | |
| მოგების გადასახადი | 13 | - | (12 767) |
| | | | |
| **წმინდა მოგება** | | **104 095** | **53 736** |

დირექტორი
**დიმიტრი ტყეშელაშვილი**

*09 ივნისი, 2017*
*თბილისი, საქართველო*

ბუღალტერი
**მაია პაპიძე**

*09 ივნისი, 2017*
*თბილისი, საქართველო*

სს „საქსაშენმეცნიერება“
**კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება**
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

| კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება | სააქციო კაპიტალი | გაუნაწილებელი მოგება | ჯამურად |
|---|---|---|---|
| **ნაშთი 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (არა-აუდიტირებული)** | **3 166 310** | **62 921** | **3 229 231** |
| | | | |
| პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი) | - | 104 095 | **104 095** |
| დივიდენდის გადახდა | - | (116 131) | **(116 131)** |
| | | | |
| **ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით(არა-აუდიტირებული)** | **3 166 310** | **50 885** | **3 217 195** |
| | | | |
| პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი) | - | 53 736 | **53 736** |
| დივიდენდის გადახდა | - | (75 000) | **(75 000)** |
| | | | |
| **ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **3 166 310** | **29 621** | **3 195 931** |

დირექტორი
**დიმიტრი ტყეშელაშვილი**

*09 ივნისი, 2017*
*თბილისი, საქართველო*

ბუღალტერი
**მაია პაპიძე**

*09 ივნისი, 2017*
*თბილისი, საქართველო*

**სს „საქსაშენმეცნიერება“**
**ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები**
**2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**
**საანგარიშგებო ვალუტა ლარი**

# ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

### 1. ძირითადი საქმიანობა

სს საქსაშენმეცნიერება (შემდგომში -"ორგანიზაცია") დაფუძნდა 1996 წლის 03 სექტემბერს, საიდენტიფიკაციო კოდი: 204852070 , მარეგისტრირებელი ორგანო არის ვაკის რაიონის სასამართლო , იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ყაზბეგის გამზ. ჩიხი 32/34. ორგანიზაციის მმართველობითი ორგანო არის: სამეთვალყურეო საბჭო, რომლის წევრები არიან თავმჯდომარე/წევრი: ნანა მუმლაძე (პ/ნ 01001028040), წევრი: გია გაგუნაშვილი (პ/ნ01008010502), წევრი: მარინე კევლიშვილი (პ/ნ 01023009558).

### 2. მომზადების საფუძველი

ორგანიზაციის თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა („ფასს“) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის („ფაისკ“) მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების შესაბამისად. წინა წლის შესადარისი ინფორმაცია არ იყო აუდიტირებული აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, თუმცა ჩვენ ჩავატარეთ შესაბამისი აუდიტორული პროცედურები, რათა დაგვედასტურებინა ფინანსური ანგარიშგების საწყისი ნაშთები.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

*საანგარიშგებო ვალუტა*

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო ვალუტაა – ქართული ლარი.

### 3. დაშვებები და შეფასებების გამოყენება

ფინანსური ანგარიშგებათა ფასს-თან შესაბამისობით მომზადება მენეჯმენტისგან ითხოვს დაშვებების, შეფასებებისა და მოსაზრებების გამოთქმას, რომლებიც მოქმედებენ ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკების გამოყენებასა და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯების, ასევე პირობითი აქტივებისა და ვალდებულებების ანგარიშგებულ თანხებზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ხსენებული შეფასებებისგან.

შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

### 4. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

#### *4.1 ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და შეფასება*

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება ხდება გარიგების თარიღის მდგომარეობით. ფინანსური ინსტრუმენტების რეგულარული ხასიათის მქონე შესყიდვები, რომლებიც შემდგომში შეფასდება გაყიდვისა და ანგარიშსწორების დღეებს შორის სამართლიანი ღირებულებით, აღირიცხება შესყიდული ინსტრუმენტების ანალოგიურად.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიან ღირებულებას პლუს, თუ ფინანსური აქტივი ან ვალდებულება არ არის სამართლიანად ასახული მოგება-ზარალის გატარებით, ის დანახარჯები რომლებიც უშუალოდ მიეკუთვნება ფინანსურ აქტივთან და ვალდებულებასთან დაკავშირებულ გარიგებას. აღნიშნული აქტივების და ვალდებულებების გადაფასების პოლიტიკა აღწერილია ბუღალტრული აღრიცხვის ქვემოთ მოყვანილ პრინციპებში.

#### *4.2 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები*

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს.

#### *4.3 სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება*

დებიტორული დავალიანება ძირითადად შედგება მოთხოვნებისგან განხორციელებული მომსახურების გაწევით, მეკავშირე საწარმოების და ხელმძღვანელების მოთხოვნებისგან.

#### *4.4 სასაქონლო–მატერიალური მარაგები*

სასაქონლო–მატერიალური მარაგები ტარდება დაბალი ღირებულებით და სუფთა რეალიზაციის ღირებულებით. ღირებულება მოიცავს უშუალოდ მასალების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ შრომის დანახარჯებს და იმ ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო–მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად. სასაქონლო–მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

სუფთა რეალიზაციის ღირებულება არის სავარაუდო გასაყიდ ღირებულებას გამოკლებული დასრულებისა და რეალიზაციის ხარჯები.

#### *4.5 ძირითადი საშუალებები და ცვეთა*

ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა. ისტორიული ღირებულება მოიცავს თანხებს, რომლებიც გაწეულია ამ აქტივების შეძენაზე. შემდგომი ხარჯები აისახება აქტივის შესაბამის მუხლებში ან ხდება მათი აღრიცხვა(აღიარება) ცალკეულ აქტივად იმ შემთხვევაში, თუ ნათელია, რომ მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება შესაძლებელია. აქტივების რემონტისა(შეკეთებისა) და შენახვის ღირებულება აისახება შემოსავლების უწყისში მათი წარმოჩენის პერიოდების მიხედვით.

ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება ნარჩენი ღირებულების მეთოდით საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული წესის მიხედვით და ყოველთვის არ შეესაბამება საერთაშორისო აღრიცხვის სტანდარტებს, ვინაიდან ეს მეთოდი ყოველთვის სათანადოდ არ განსაზღვრავს ამ აქტივებთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოიქვითება აქტივების საბალანსო ღირებულებიდან და გამოიყენება აქტივების ჩამოსაწერად მათი ექსპლუატაციის ვადის ამოწურვამდე. ცვეთისა და ამორტიზაციის გაანგარიშება წარმოებს ნარჩენი ღირებულების მეთოდის გამოყენებით შემდეგი წლიური განაკვეთების გამოყენებით:

#### *4.5 ძირითადი საშუალებები და ცვეთა (გაგრძელება)*

| | |
|---|---|
| შენობა-ნაგებობები | 0,5-5% |
| ავეჯი და სხვა ინვენტარი | 5-20% |
| მანქანა-დანადგარები<br>სატრანსპორტო საშუალებები | 5-8%<br>20% |
| | |

ორგანიზაცია არ განიხილავს ცვეთის მეთოდებს და კოეფიციენტებს ყოველი საფინანსო წლის ბოლოს რომ ასახოს ხომ არ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ორგანიზაციის რომელიმე ძირითადი საშუალება, რომლისგანაც სარგებელს მოელის გაუფასურებულია.

როდესაც ხდება ქონების ჩამოწერა ან სხვა სახით ცვლილება, ღირებულება და ცვეთა გადაიტანება ფინანსური ანგარიშგებიდან და ამასთან დაკავშირებული ყველა სახის მოგება ან ზარალი აისახება შემოსავლების უწყისში.

#### *4.6 კრედიტორული დავალიანება*

კრედიტორული დავალიანება აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

კრედიტორული დავალიანება რომლის დაფარვის ვადა ბალანსის შედგენის თარიღიდან ერთ წელზე მეტია აისახება როგორც გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანება.

#### *4.7 სააქციო კაპიტალი*

სააქციო კაპიტალი აღიარებულია თვითღირებულებით. სააქციო კაპიტალი, რომელიც შეტანილია არაფულად აქტივებში, აისახება ასეთი აქტივების სამართლიანი ღირებულებით შეტანის თარიღისთვის.

#### *4.8 დივიდენდები*

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების თარიღით მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ისინი განცხადებულია ანგარიშგების თარიღამდე ან ანგარიშგების თარიღით. ინფორმაციის გახსნა დივიდენდების შესახებ ხდება, როდესაც ისინი შემოთავაზებულია ანგარიშგების თარიღამდე ან შემოთავაზებულია ან განცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდეგ, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე.

#### *4.9 გაუფასურების რეზერვი*

ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების გაუფასურების ობიექტური საფუძველის არსებობის შემთხვევაში, ორგანიზაცია ადგენს ამ ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვს. გაუფასურების რეზერვი განისაზღვრება როგორც სხვაობა ნარჩენ ღირებულებასა და მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას შორის, რომლებიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, იმ ფინანსური აქტივებისათვის, რომელიც წარმოდგენილია ამორტიზირებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების რეზერვი შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად მივაკუთვნოთ გაუფასურების რეზერვის აღიარების შემდგომ პერიოდში მომხდარ მოვლენებს, თავდაპირველად აღიარებული გაუფასურების რეზერვი კორექტირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის შემცირებით.

ნარჩენი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი განისაზღვრება როგორც სხვაობა ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მსგავსი ფინანსური აქტივების უკუგების მიმდინარე საბაზრო განაკვეთით დისკონტირებულ მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის. ასეთი გაუფასურების რეზერვი არ ექვემდებარება კორექტირებას.

გაუფასურების რეზერვის განსაზღვრა ეფუძნება რისკიანი აქტივების ანალიზს და ასახავს იმ თანხას, რომელიც მენეჯმენტის განსჯით ფარავს შესაბამის დანაკარგს. რეზერვები განისაზღვრება რისკიანი აქტივების ინდივიდუალური შეფასებით იმ ფინანსური აქტივებისათვის, რომლებიც ინდივიდუალურად მნიშვნელოვანია და ინდივიდუალური ან ჯგუფური შეფასებით იმ აქტივებისათვის, რომლებსაც ინდივიდუალურად არ გააჩნია დიდი მნიშვნელობა.

გაუფასურების რეზერვის ცვლილება აისახება მოგებაზე სარეზერვო ანგარიშის (ამორტიზირებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები), ან ჩამოწერის (ნარჩენი ღერებულებით ასახული აქტივები) შედეგად. ბალანსში ასახული აქტივებს აკლდება გაუფასურების თანხა. გაუფასურების რეზერვის ობიექტური საფუძველის განსაზღვრისათვის, ორგანიზაცია განიხილავს ისეთ ფაქტორებს როგორიცაა დებიტორის ლიკვიდობა, გადახდისუნარიანობა, ბიზნესისა და ფინანსური რისკების მიმართ დამოკიდებულება, მსგავსი ფინანსური აქტივების გადაუხდელობის ხარისხი და ტენდენციები, ადგილობრივი ეკონომიკის ტენდენცია და მდგომარეობა. აღნიშნული და სხვა ფაქტორები, ინდივიდუალურად ან ჯგუფურად, წარმოადგენენ ფინანსური აქტივის ან აქტივების ჯგუფის გაუფასურებისათვის საკმარის ობიექტურ საფუძველს.

#### *4.9 გაუფასურების რეზერვი (გაგრძელება)*

გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ ზარალის შეფასება მოიცავს სუბიექტურ ფაქტორებს. ორგანიზაციის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ აღრიცხული გაუფასურების თანხა საკმარისია რისკს დაქვემდებარებული აქტივებზე განცდილი დანაკარგების დასაფარად ანგარიშგების თარიღისათვის, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ გარკვეულ პერიოდში ორგანიზაციამ განიცადოს დანაკარგები, რომლებიც უფრო მეტია, ვიდრე აღრიცხული გაუფასურების რეზერვი.

#### *4.10 მოგების გადასახადი*

აუდიტირებადი პერიოდისათვის საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით მოგების გადასახადი 15%-ს შეადგენს.

მოგების გადასახადის გამოთვლა ხდება მოცემული პერიოდებისათვის შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მონაცემებზე დაყრდნობით და მენეჯმენტის გათვლებზე დაყრდნობით საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის გათვალისწინებით. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით საგადასახადო ზარალის გადავადება შესაძლებელია 10 წლამდე ვადით.

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე და გადავადებული გადასახადების ხარჯების ჯამს.

**სს „საქსაშენმეცნიერება“**

## ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

**2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

**საანგარიშგებო ვალუტა ლარი**

მიმდინარე გადასახადის ხარჯი გამოითვლება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვავდება წმინდა მოგებისაგან, რომელიც ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშ-ში, ვინაიდან ის არ მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების იმ ნაწილს, რომელიც ექვემდე-ბარება დაბეგვრას ან გამოქვითვას წინა წლებში და აგრეთვე იმ ხარჯებს, რომელიც საერთოდ არ ექვემდებარება დაბეგვრას ან გამოქვითვას. ორგანიზაციის მიმდინარე გადა-სახადის ხარჯი გაანგარიშებულია იმ საგადასახადო განაკვეთით, რომლებიც მოქმედებდა ანგარიშგების პერიოდისათვის.

გადავადებული გადასახადი არის გადასახდელი ან გამოსაქვითი გადასახადი, რომელიც წარმოიქმნება ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივების და ვალდებულებების ნარჩენ ღირებულებათა შორის სხვაობიდან მიღებული დასაბეგრი ბაზის საფუძველზე და საბა-ლანსო უწყისში აისახება ვალდებულების მეთოდის გამოყენებით. გადავადებული საგადა-სახადო ვალდებულებები ჩვეულებრივ აღიარებას ექვემდებარება ყველა დროებითი სხვაო-ბისათვის, ხოლო გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარებას ექვემდებარება იმდე-ნად, რამდენადაც არსებობს საფუძვლიანი მოლოდინი იმისა, რომ იარსებებს დასაბეგრი მოგება, რომლის მიმართაც გამოყენებული იქნება არსებული დროებითი სხვაობა. აქტივე-ბის და ვალდებულებების აღიარება არ ხდება, თუ დროებითი განსხვავება გამოწვეულია აქტივების და ვალდებულებების პირველადი აღიარებით იმ ოპერაციებში, რომლებიც ზე-მოქმედებას არ ახდენს როგორც საგადასახადო მოგებაზე ასევე საბუღალტრო მოგებაზე.

***4.11 შემოსავლები***

ორგანიზაციის შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით, მომხმარებლისთ-ვის გაწეული მომსახურების გაწევის დროს.

შემოსავალი განისაზღვრება მისივე სამართლიანი ღირებულებით ან სავაჭრო მოთხოვ-ნებით, რომელშიც გათვალისწინებულია ორგანიზაციის მიერ გაკეთებული ფასდაკლებები და ფასდათმობები.

*სერვისის აღწერა*

ორგანიზაცია იღებს შემოსავლებს იჯარის მომსახურებიდან და სხვადასხვა სამშენებ-ლო მასალების შემოწმებისგან. შემოსავლის აღიარება ხდება, როცა სერვისი გაწეულია და მომხმარებლის მიერ დამოწმებულია, რომელიც თავის მხრივ დასტურდება ინვოისითა და მიღება-ჩაბარების აქტით ხელმოწერილი ორგანიზაციისა და კლიენტის მხრიდან.

*საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება*

საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით და აისახება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპრო-ცენტო განაკვეთის მეთოდი, წარმოადგენს მეთოდს, რომელიც ეფუძნება ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების და ან ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზირებულ ღირებულებას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკ-ვეთს, რომელიც ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების გადახდების, ან შემო-დინების დისკონტირებას ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების წმინდა მიმდი-ნარე ღირებულებამდე ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდის ამოწურვამდე, ან თუ მისაღებია, უფრო მოკლე ვადაში.

***4.12 ხარჯები***

ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღი-არება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულე-ბა მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ.

***4.13 რეზერვები***

რეზერვის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ორგანიზაციას აქვს მიმდინარე იურიდიუ-ლი ან პირობითი ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშვა წარსული მოვლენების შედეგად და რომელთა დაფარვისათვის შესაძლებელია საჭირო გახდეს ეკონომიკური სარგებლის მატარებელი რესურსების გადინება. აღნიშნული ვალდებულებების შეფასება შესაძლებე-ლი უნდა იყოს საკმარისი ხარისხის სიზუსტით.

***4.14 ფინანსური აქტივების და ვალდებულებების გაქვითვა***

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები იქვითება და ბალანსში აისახება წმინდა თანხით, იმ შემთხვევაში თუ ორგანიზაციას აქვს იურიდიული უფლება განახორცი-ელოს ბალანსში აღიარებული თანხების გაქვითვა და განზრახული აქვს მოახდინოს აქტი-ვის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერ-თდროულად მოახდინოს აქტივის რეალი-ზაცია და ვალდებულების დაფარვა. ორ-განიზაცია ვალდებულებებთან არ ქვითავს გადაცემულ ფინანსურ აქტივს.

***4.15 პირობითი აქტივები და ვალდებუ-ლებები***

პირობითი ვალდებულებები არ აისა-ხება ბალანსში, მაგრამ წარმოდგენილია ანგარიშსწორებისას სახსრების ნებისმი-ერი გადინების შესაძლებლობის არსებო-ბამდე. პირობითი აქტივი ბალანსში არ აისახება, მაგრამ წარმოდგენილია იმ შემ-თხვევაში, თუ ეკონომიკური მოგების მი-ღებაა ნავარაუდევი.

***5. ახალი სტანდარტები და ახსნა-გან-მარტებები, რომლებიც ჯერ არ არის და-ნერგილი***

მთელი რიგი სტანდარტები, აგრეთვე, ცვლილებები სტანდარტებსა და ახსნა-განმარტებებში ჯერ კიდევ არ მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ამდენად, აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მათი გამოყენების გარეშე მომზადდა. ორგა-ნიზაცია არ იყენებს შემდეგ ახალ და რედაქტირებულ, გამოქვეყნებულ მაგრამ ძალაში ჯერ არშესულ ფასს-ებს:

- ფასს 9 - *ფინანსური ინსტრუმენტები* (ძალაშია 2018 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია);
- ფასს 15 – *შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან და შესაბა-მისი განმარტებები* (ძალაშია 2018 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია);
- ფასს 16 - *იჯარა* (ძალაშია 2019 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია);
- შესწორებები ფასს 2 - *იმ ტრანზაქციების კლასიფიკაცია და გაზომვა, რომელთა ანაზღაურება ხდება აქციების მეშვეობით* (ძალაშია 2018 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია).
- შესწორებები ბასს 7 - *განმარტების ინიციატივა* (ძალაშია 2017 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია);
- შესწორებები ბასს 12 - *არარეალიზებული ზარალის გადავადებული საგადასახა-დო აქტივების აღიარება* (ძალაშია 2017 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია);
- შესწორებები ფასს 4 - *„ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები„* გამოყენება ფასს 4 *„სადაზღვევო კონტრაქტებთან„* ერთად (ძალაშია 2018 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებუ-ლი წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია);
- ფაისკ 22 - *სავალუტო ოპერაციები და საავანსო ანაზღაურება* (ძალაშია 2018 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია);

***5. ახალი სტანდარტები და ახსნა-განმარტებები, რომლებიც ჯერ არ არის დანერგილი (გაგრძელება)***

- შესწორებები ბასს 40 - *საინვესტიციო ქონების გადაცემა* (ძალაშია 2018 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია);

კომპანიის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორებათა გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

| **შენიშვნა 6 -ფულადი სახსრები** | **31.12.2015** | **31.12.2016** |
|---|---|---|
| | | |
| ლარები საბანკო ანგარიშებზე | 722 | 3 326 |
| დეპოზიტი ლარის ანგარიშზე | 51 545 | 23 394 |
| **ჯამურად ფულადი ნაშთები საბანკო ანგარიშებზე** | **52 267** | **26 720** |
| | | |
| ნაღდი ფული სალაროში ლარებში | 276 | 172 |
| | | |
| **სულ ფულადი სახსრები** | **52 542** | **26 892** |

| **შენიშვნა 7 -დებიტორული დავალიანება** | **31.12.2015** | **31.12.2016** |
|---|---|---|
| | | |
| მოთხოვნები მეიჯარეების მიმართ | 19 054 | 36 971 |
| მოთხოვნები სამშენებლო მასალების შემოწმების გაწული მომსახურებიდან | 2 220 | 2 368 |
| **მთლიანი დებიტორული დავალიანება** | **21 274** | **39 339** |
| | | |
| *მინუს: გაუფასურების რეზერვი* | - | *(5 394)* |
| | | |
| **წმინდა დებიტორული დავალიანება** | **21 274** | **33 945** |

| **შენიშვნა 8 - წინასწარ გადახდილი გადასახადები** | **31.12.2015** | **31.12.2016** |
|---|---|---|
| | | |
| წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი | 1 493 | 2 251 |
| წინასწარ გადახდილი საშემოსავლო გადასახადი | 136 | 421 |
| | | |
| **ჯამურად წინასწარ გადახდილი გადასახადები** | **1 629** | **2 672** |

| **შენიშვნა 9 - ძირითადი საშუალებები** | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **მიწის ნაკვეთი** | **შენობა ნაგებობები** | **მანქანა - დანადგარები** | **ოფისის აღჭურვილობა** | **ავეჯი და სხვა ინვენტარი** | **სატრანსპორტო საშუალებები** | **ჯამურად** |
| **საწყისი ღირებულება** | | | | | | | |
| ბალანსი 31/12/2016 | 1 372 500 | 1 921 182 | 45 941 | 945 | 125 544 | 23 326 | 3 489 438 |
| დანამატები | - | 5 047 | 2 050 | - | - | - | 7 097 |
| აქტივების ჩამოწერა | - | - | - | - | - | (9 846) | (9 846) |
| | | | | | | | |
| ბალანსი 31/12/2016 | 1 372 500 | 1 926 229 | 47 991 | 945 | 125 544 | 13 480 | 3 486 689 |
| | | | | | | | - |
| **აკუმულირებული ცვეთა** | | | | | | | - |
| ბალანსი 31/12/2015 | - | (157 281) | (30 050) | (697) | (112 340) | (15 683) | (316 051) |
| ცვეთა პერიოდისათვის | - | (8 821) | (1 072) | (40) | (825) | (883) | (11 642) |
| ჩამოწერილი აქტივების ცვეთა | - | - | - | - | - | 6 620 | 6 620 |
| | | | | | | | |
| ბალანსი 31/12/2016 | - | (166 102) | (31 123) | (737) | (113 165) | (9 946) | (321 073) |
| | | | | | | | |
| წმინდა ღირებულება | | | | | | | |
| **ბალანსი 31/12/2015** | **1 372 500** | **1 763 901** | **15 891** | **248** | **13 204** | **7 643** | **3 173 388** |
| **ბალანსი 31/12/2016** | **1 372 500** | **1 760 127** | **16 869** | **208** | **12 379** | **3 534** | **3 165 616** |

## სს „საქსაშენმეცნიერება“
## ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
**2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**
**საანგარიშგებო ვალუტა ლარი**

| შენიშვნა 10 - გადასახდელი გადასახადები | 31.12.2015 | 31.12.2016 |
|---|---|---|
| | | |
| გადასახდელი დღგ | 2 343 | 1 993 |
| გადასახდელი ქონების გადასახადი | 3 865 | 713 |
| სხვა საგადასახადო ვალდებულებები | 15 | 14 |
| | | |
| **სულ გადასახდელი გადასახადები** | **6 223** | **2 720** |

| შენიშვნა 11 - საოპერაციო ხარჯები | 31.12.2015 | 31.12.2016 |
|---|---|---|
| | | |
| ხელფასის ხარჯები | 126 337 | 119 139 |
| კომუნიკაციის ხარჯი | 42 264 | 42 484 |
| რემონტის ხარჯები | 662 | - |
| კომპიუტერის ხარჯები | 76 | 64 |
| სხვა საგადასახადო ხარჯი | 20 847 | 20 817 |
| სხვა ხარჯი | 5 005 | 5 492 |
| | | |
| **სულ საოპერაციო ხარჯები** | **195 190** | **187 996** |

| შენიშვნა 12 - არასაოპერაციო ხარჯები | 31.12.2015 | 31.12.2016 |
|---|---|---|
| | | |
| ცვლილება დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვში | - | 5 394 |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯები | 921 | 3 255 |
| | | |
| **სულ არასაოპერაციო ხარჯები** | **921** | **8 649** |

**შენიშვნა 13 - მოგების გადასახადი**

ორგანიზაცია საგადასახადო ანგარიშგებას აწარმოებს იმ ქვეყანაში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, სადაც ის და მისი მეკავშირე კომპანიები მოღვაწეობენ და რომელიც შეიძლება განსხვავდებოდეს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისაგან.

ორგანიზაცია განიცდის მუდმივ საგადასახადო განსხვავებებს გარკვეული არასაგადასახადო ხარჯების გამოქვითვისა და გადასახადისაგან გათავისუფლებული შემოსავლებიდან გამომდინარე.

ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის გადავადებული გადასახადები ასახავს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას და საგადასახადო მიზნებისათვის გამოყენებულ თანხებს შორის დროებითი სხვაობების წმინდა საგადასახადო ეფექტებს. 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული დროებითი სხვაობები ძირითადად ასოცირებულია შემოსავლებისა და ხარჯების აღიარების განსხვავებულ მეთოდებთან და აგრეთვე გარკვეული აქტივების აღრიცხულ ღირებულებასთან.

**შენიშვნა 14 - ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან**

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში №24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

(ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლდებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);

(ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;

(გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი;

(დ)ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;

(ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

**შენიშვნა 14 - ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)**

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციას და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ორგანიზაციის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში ორგანიზაციის წილის ოდენობით და ამ შენიშვნაში ასეთი ტრანზაქციები არ არის წარმოდგენილი.

**შენიშვნა 15 - კაპიტალის მართვა**

კაპიტალის მართვისას ორგანიზაცია მიზნად ისახავს:
- უზრუნველყოს ორგანიზაციის უნარიანობა გააგრძელოს თავის საქმიანობა ისე, რომ მფლობელები შემოსავლით უზრუნველყოს; და
- უზრუნველყოს ადეკვატური შემოსავალი მფლობელებისთვის მომსახურების შეფასებით რისკის დონის თანაზომიერად.

ორგანიზაცია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. ორგანიზაცია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების ცვლილებების გათვალისწინებით.

აღნიშნულის განსახორციელებლად, შესაძლებელია ორგანიზაციამ დააკორექტიროს დამფუძნებლისთვის გადასახდელი დივიდენდების თანხა, დაუბრუნოს კაპიტალი დამფუძნებელს, გაზარდოს საწესდებო კაპიტალი, ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

**შენიშვნა 16 - გაუთვალისწინებელი გარემოებები**

*დაზღვევა*

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების ფაზაშია. შესაბამისად, მსოფლიოში მიღებული სადაზღვევო დაცვის ბევრი ფორმა ჯერჯერობით საქართველოში სრულად ხელმისაწვდომი არ არის. ორგანიზაციას არ გააჩნია სრული სადაზღვევო დაფარვა თავის უძრავ ქონებაზე, დანადგარ-აღჭურვილობაზე, საქმის შეწყვეტაზე ან მესამე პირის ვალდებულებაზე კერძო საკუთრებასთან მიმართებაში, ან შემთხვევითობის წყალობით წამოჭრილი რაიმე გარემო ზიანზე ორგანიზაციის საკუთრების ან ოპერაციების მიმართ. სანამ ორგანიზაცია მიიღებს შესაფერის სადაზღვევო დაფარვას, არსებობს რისკი, რომ ზარალს ან ზოგიერთი აქტივის განადგურებას შეიძლება ჰქონდეს მატერიალური უარყოფითი ზეგავლენა ორგანიზაციის ოპერაციებსა და ფინანსურ პოზიციაზე.

*სასამართლო დავა*

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში ორგანიზაციის მიმართ ხორციელდება სამართლებრივი ქმედებები, დავები და საჩივრები. ხელმძღვანელობა თვლის, რომ მაქსიმალური ვალდებულება, რაც კი შეიძლება წარმოიშვას ასეთი დავების შედეგად (თუკი საერთოდ წარმოიშვა), არ იქონიებს მნიშვნელოვან გავლენას ფინანსურ ან მომავალ საოპერაციო შედეგებზე.

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირად იცვლება მისი საკანონმდებლო და ოფიციალური დებულებები, სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად ბუნდოვანია, წინააღმდეგობრივია და მათი ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარად წარმოებს. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში არანაირი ვალდებულებების, ჯარიმების და საურავების დაწესება არ არის შესაძლებელი, თუ სამ წელზე მეტი იქნება გასული საგადასახადო წლიდან, როდესაც მოხდა დარღვევა.

აღნიშნული გარემო საქართველოში ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ იგი ადექვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, შესაბამის ორგანოებს, შესაძლოა ჰქონდეთ სხვა ინტერპრეტაციები და მათი ინტერპრეტაციების წარმატებით აღსრულების შემთხვევაში ფინანსურ ანგარიშგებაზე ზეგავლენა შესაძლებელია იყოს მნიშვნელოვანი.

**შენიშვნა 17 - საწარმოს უწყვეტობის განხილვა**

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ ორგანიზაციის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვთ ორგანიზაციის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

**შენიშვნა 18 - ბალანსის შემდგომი მოვლენები**

2016 წლის 31 დეკემბრის შემდგომ არ მომხდარა ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც საჭიროებს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენასს.

## ვაშლიჯვარში ახალი ბაღი გაიხსნა

თბილისში კიდევ ერთი ახალი საბავშვო ბაგა-ბაღი გაიხსნა — საბურთალოს რაიონში, ვაშლიჯვრის დასახლებაში მდებარე ახალი ბაღი თბილისის მერმა დავით ნარმანიამ ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელ თემურ თორდინავასთან ერთად დაათვალიერა და ბაღის პირველ აღსაზრდელებს სამახსოვროდ წიგნები გადასცა.



**„ამ უბანს დიდი ხნის განმავლობაში აწუხებდა საბავშვო ბაღის პრობლემა, სწორედ ამიტომ შევარჩიეთ ჩვენ ეს ტერიტორია და ავაშენეთ სრულიად ახალი, ჩვენი მმართველობის პირობებში რიგით მე-12 სააღმზრდელო დაწესებულება. შეიქმნა დამატებით 350 ბავშვის ადგილი და დღეიდან ახალი ბაღი უკვე ფუნქციონირებს. აქ ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ ჩვენი პატარები ღირსეულ მოქალაქეებად ჩამოყალიბდნენ“,** — აღნიშნა თბილისის მერმა მედიასთან საუბრისას.

№33 საბავშვო ბაგა-ბაღში 10 ჯგუფი ფუნქციონირებს და ის 350 აღსაზრდელზეა გათვლილი. დასაქმებულია 70 ადამიანი.

## ტურისტულად აქტიურ ადგილებში ვაშენოთ სასტუმროები!

ტურისტული ნაკადებისა და ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების ზრდამ საჭირო გახადა ქვეყანაში შესაბამისი ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება. სწორედ ამ მიზნით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო ინვესტორებს პროექტს „50 ქონება შენი სასტუმროსთვის“ სთავაზობს, რომელიც გულისხმობს სახელმწიფო ქონების შეთავაზებას სასტუმრო-ინფრასტრუქტურის მოსაწყობად ტურისტულად ყველაზე აქტიურ რეგიონებში .




სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს პროექტის „50 ქონება შენი სასტუმროსთვის“ ფარგლებში ამჟამად გამოცხადებული აქვს მიმდინარე ელექტრონული აუქციონები ტურისტულად პოპულარულ ადგილებში, თბილისი, უზნაძის ქუჩა, ციხისძირი, ყვარელი და სურამი. აუქციონის დეტალები ხელმისაწვდომია ბმულზე www.nasp.gov.ge

ფეხბურთი

# „იმერული ესკიზები“

**უკვე შორეულ 1994 წელს „სამტრედიამ“ თბილისში პირველად მოუგო „დინამოს“ ეროვნული ჩემპიონატის შეხვედრა. მას შემდეგ, რომ იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ იმერლები დედაქალაქიდან შინ გაწბილებულნი ბრუნდებოდნენ. და აი, 23 წლის შემდეგ ნავსი გატყდა, თანაც, საქართველოს მოქმედი ჩემპიონები ტიტულის შესანარჩუნებლად გაჩაღებულ ბრძოლაში დაბრუნდნენ.**

**„დინამო“ – „სამტრედია“ 0:1.**

**გოლი:** ნდონგი (89-ე წუთი).

მართლაც რომ ერთი ნაბიჯია გმირობიდან ანტიგმირობამდე: მასპინძელთა დაცვის ბურჯ თოთაძეს ვგულისხმობ, რომელმაც უკანასკნელ ხუთ მატჩში ექვსი გოლი გაიტანა და პარტნიორებს ლიდერობა შეუნარჩუნა.



თამაში ორიოდე წუთის დაწყებული იყო, როცა გეგეჭკორის შორეული გასროლის შემდეგ სტუმართა მეკარე მიგინეიშვილმა ბურთი უხერხულად მოიგერია და, მართალია, მიქელთაძეს დამატების საშუალება არ მისცა, მაგრამ ახალგაზრდა მსაჯ ყრუაშვილს საკამათო პენალტი დაანიშნინა.

ჰაერში მონასტრის არევის სუნი დატრიალდა, მაგრამ თოთაძეს ამჯერად ნერვებმა უმტყუნა და მიგინეიშვილმა საკუთარი შეცდომა აკრობატული ნახტომით გამოასწორა.

აქედან მოყოლებული, მეტოქეები ორმხრივ იერიშებში ეძებდნენ წარმატებისკენ მიმავალ ბილიკს, თითოჯერ საქმეში ძელიც ჩართეს, კვანძი კი საფინალო სასტვენის წინ გაიხსნა, როცა რაჟამაშვილის ჩაწოდებული საჯარიმო ნდონგმა ზუსტი თაურით დააგვირგვინა.

ასე რომ, კახი კაჭარავას გუნდი უფსკრულს მიუახლოვდა – მოგეხსენებათ, იგი კარგახნის განმავლობაში სოლიდური ჰანდიკაპით უსწრებდა მდევრებს, მაგრამ მას შემდეგ, რაც კლუბის თავკაცებმა პაპუნაშვილი, ჭანკვეტაძე, ლობჟანიძე და არაბული გაყიდეს, „თეთრ-ლურჯებმა“ გაუთვალისწინებელი ქულები გაანიავეს და მინიმალური უპირატესობითღა ინარჩუნებენ წამყვან პოზიციას.

არანაკლებ დრამატულად განვითარდა მოვლენები ქუთაისში, სადაც „ტორპედომ“ უბერებელი ბაბუნაშვილის ძალისხმევით ბოლო წუთებზე გატეხა თბილისის „ლოკომოტივის“ წინააღმდეგობა – 4:2. იმავე დღეს „საბურთალომ“ გორის „დილას “ სძლია – 3:1.

აღსანიშნავია, რომ ეროვნული ლიგის ფინიშამდე დარჩენილ ხუთ ტურში მედლების მაძიებლებს ერთმანეთთან უწევთ შეხვედრები. მათგან ყველაზე უარესი კალენდარი ქუთაისელებს აქვთ, რომლებიც სტუმრად ეთამაშებიან როგორც „სამტრედიას“, ისე თბილისის „დინამოს“ (ბოლო ტურში). დაგვეთანხმებით, გულშემატკივარი უკეთეს ინტრიგაზე ვერც იოცნებებდა.

დავძენთ, რომ ჩემპიონატის თანაბარი ქულებით დასრულების შემთხვევაში უპირატესობა იმ გუნდს მიენიჭება, რომელსაც ურთიერთშეხვედრებში უკეთესი სტატისტიკა ექნება. ამ მხრივ მომგებიან სიტუაციაში თბილისელები არიან, რომლებმაც რიონისპირელებს მიმდინარე სეზონში ორი მატჩი მოუგეს და ერთი ფრედ დაამთავრეს.

**სატურნირო მდგომარეობა XXXI ტურის შემდეგ:** „დინამო“ – 65, „ტორპედო“ – 64, „სამტრედია“ – 61, „საბურთალო“ – 50, „ლოკომოტივი“ – 49, „ჩიხურა“ – 46, „დილა“ – 34, „ბათუმი“ – 32, „კოლხეთი“ – 20, „შუქურა“ – 16 ქულა.

**შემდეგი ტური:** „ჩიხურა“ – „დინამო“, „დილა“ – „ტორპედო“, „სამტრედია“ – „საბურთალო“ (28 ოქტომბერი), „ლოკომოტივი“ – „კოლხეთი“, „შუქურა“ – „ბათუმი“ (29 ოქტომბერი).

**გიორგი შოთაძე**

რჩეულნი

# „რეალ“-ურ ტალღაზე



**ლონდონში ფიფამ 2017 წელი შეაჯამა და საუკეთესოები სხვადასხვა ნომინაციაში გამოავლინა. სანამ მთავარ სათქმელზე გადავიდოდეთ, გეტყვით, რომ ფიფას ვერსიით საუკეთესო ფეხბურთელებს ფიფას წევრი ეროვნული ნაკრებების მთავარი მწვრთნელები, კაპიტნები და გულშემატკივრები ირჩევნდნენ, ხოლო საბოლოოდ ხმები შეჯამდა.**

ფიფას ვერსიით მსოფლიოს 2017 წლის საუკეთესო ფეხბურთელი კრიშტიანუ რონალდუ გახდა. მადრიდის „რეალის“ ლიდერმა ლიონელ მესისა და ნეიმარს აჯობა.

ქალთა შორის წლის საუკეთესო ფეხბურთელი „ბარსელონას“ ჰოლანდიელი ვარსკვლავი ლიკე მარტენსია, რომელმაც გასულ ზაფხულს საკუთარ ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატზე გაიმარჯვა.

მამაკაცთა შორის წლის საუკეთესო მწვრთნელის ნომინაციაში პირველობა არავის დაუთმო ზინედინ ზიდანმა – ფრანგმა, რომელმაც 2017 წელს „სამეფო კლუბს“ ოთხი ტიტული მოაგებინა, იტალიელებს ანტონიო კონტესა და მასიმილიანო ალეგრის აჯობა.

ამავე ნომინაციაში გამარჯვებული, ოღონდ ქალთა შორის, ჰოლანდიის ნაკრების დამრიგებელი სარინა ვიეგმანი გახდა. ვეიგმანმა ჰოლანდიას ევროპის ჩემპიონატზე პირველი ადგილი მოუტანა.

2017 წლის საუკეთესო მეკარე ჯანლუიჯი ბუფონია – 39 წლის ლეგენდამ მანუელ ნოიერსა და კეილორ ნავასს გაუსწრო. აღსანიშნავია, რომ ფიფამ აღნიშნულ ნომინაციაში საუკეთესო პირველად გამოავლინა.

2017 წლის ულამაზესი გოლი ფიფას ვერსიით ოლივიე ჟირუმ გაიტანა. ფრანგმა ფორვარდმა „არსენალის“ მაისურით „კრისტალ პალასს“ მართლაც დაუვიწყარი გოლი გაუტანა ქუსლით, მორიელის სტილში...

გარდა ამისა, უპრიზოდ არც გლაზგოს „სელტიკი“ დარჩენილა – უფრო კონკრეტულად, მისი გულშემატკივრები 2017 წელს საუკეთესო პერფორმანსის ავტორად აღიარეს.

ჩეხური „ბრნოს“ ფეხბურთელ ფრანსის კონეს 2017 წლის ფეირ-პლეის პრიზი გადაეცა. ფრანგმა გასულ სეზონში მეტოქე გუნდის მეკარე მოედანზე სიკვდილისგან იხსნა და გმირობა ამ მხრივაც დაუფასდა.

და ბოლოს, გამოვლინდა ფიფას ვერსიით 2017 წლის გუნდიც – სიმბოლური ნაკრები, რომელშიც „რეალის“ ფეხბურთელთა დომინირება აღინიშნა:

**მეკარე:** ჯანლუიჯი ბუფონი.

**მცველები:** დანი ალვეში, სერხიო რამოსი, ლეონარდო ბონუჩი, მარსელო.

**ნახევარმცველები:** ტონი კროოსი, ლუკა მოდრიჩი, ანდრეს ინიესტა.

**თავდამსხმელები:** ნეიმარი, ლიონელ მესი, კრიშტიანუ რონალდუ.

აქვე გაგაცნობთ საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის ვლადიმირ ვაისისა და გუნდის კაპიტნის ჯაბა კანკავას არჩევანს:

**ვაისი – საუკეთესო ფეხბურთელი:** 1. ლიონელ მესი 2. კრიშტიანუ რონალდუ 3. ლუკა მოდრიჩი.

**საუკეთესო მწვრთნელი:** 1. ზინედინ ზიდანი 2. ანტონიო კონტე 3. ჟოზე მოურინიო.

**კანკავა – საუკეთესო ფეხბურთელი:** 1. კრიშტიანუ რონალდუ 2. ლიონელ მესი 3. ნეიმარი.

**საუკეთესო მწვრთნელი:** 1. ზინედინ ზიდანი 2. დიეგო სიმეონე 3. პეპ გვარდიოლა.

**კობა კობახიძე**

კალათბურთი

# ღირსების მატჩი

**საკალათბურთო კლუბი „დინამო თბილისი“ ფიბა ევროპის თასზე მორიგ მატჩს დღეს გამართავს. – საქართველოს მოქმედი ჩემპიონი საბურთალოზე ოლიმპიურ სასახლეში 19 საათზე ჯგუფის ფავორიტს, რუმინულ „კლუჟ - ნაპოკას“ უმასპინძლებს.**




წლების შემდეგ ევროასპარეზზე დაბრუნებული „დინამო“ ფიბა ევროპის თასზე ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციოდან მოხვდა. ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილმა გუნდმა თავდაპირველად ფიბა-ს რანგით უმაღლეს ტურნირში მოსინჯა ძალა, მაგრამ საკვალიფიკაციო ეტაპი ვერ დაძლია და ფიბა ევროპის თასზე გადაინაცვლა.

„დინამო“ ჯგუფში ბულგარულ „ლუკოილ აკადემიკთან“, რუმინულ „კლუჟ-ნაპოკასთან“ და თურქულ „ისთანბულთან“ ერთად მოხვდა.

ქართულმა კლუბმა ჯგუფის პირველი შეხვედრა 18 ოქტომბერს ბულგარეთში გამართა და დაძაბულ ბრძოლაში 70:73 დამარცხდა, დინამოელთა მომავალმა მეტოქემ კი პირველ ტურში შინ „ისთანბულს“ 90:69 სძლია. ფიბა ევროპის თასზე ჯგუფში 6 ტურის შემდეგ 2 საუკეთესო გუნდი მომდევნო ეტაპზე გავა.

**ვიტალი ჯაფარიძე**



# მტკნარი სიცრუეა, თითქოს ბათუმელებს მწვანე კონცხის პლაჟს ჩაუკეტავენ!

**„პანორამა თბილისის“ მსგავსად, ე.წ. „პანორამა ბათუმის“ შესახებ ბათუმელებში აზრთა სხვადასხვაობაა. მათი ნაწილი კომპანია „ბიზნეს დეველოპმენტს“, რომელმაც „პანორამა ბათუმის“ პროექტი უნდა განახორციელოს, იმედიანად უყურებს, მიიჩნევს რა, რომ ეს კომპანია საკმაოდ გამოცდილია და მან აჭარაში ბევრი საინტერესო პროექტი განახორციელა. ბათუმელთა ნაწილი კი ფიქრობს, რომ ბათუმის საკრებულოში „პანორამა ბათუმის“ იდეის გატანით ბათუმი დამარცხდა, ადგილობრივმა საკრებულომ ბიძინა ივანიშვილის კომპანიას მწვანე კონცხის მიმდებარე ტერიტორია 11 ხმით 6-ის წინააღმდეგ უსასყიდლოდ გადასცა, რის შემდეგაც ბათუმელებს ამ საზოგადოებრივი სივრცის ტერიტორიაზე შესვლა გაუჭირდებათ. საუბარია მწვანე კონცხის მიმდებარედ 6346 კვ.მ პლაჟზე, რომელიც კომპანია „ბიზნეს დეველოპმენტს“ 500 ათასი ლარის ინვესტიციის განხორციელების პირობით 49-წლიანი ვადით გადაეცა.**



მწვანე კონცხის პლაჟის გასხვისებით აჭარის ხელისუფლება ოპტიმისტურადაა განწყობილი. ისინი დარწმუნებული არიან, რომ „ბიზნეს დეველოპმენტი“ ახალ საბაგირო გზას გააკეთებს, რომლიც საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული აღარ მუშაობდა; ასევე, მოწესრიგდება პლაჟები და ხელი შეეწყობა ბათუმში ტურისტული პოტენციალის განვითარებას.

საინტერესოა, როგორია ბათუმელების თვალით დანახული „პანორამა ბათუმი“.

სამოქალაქო აქტივისტი სოფო პატარაია ამბობს, რომ მწვანე კონცხის პლაჟი ეკოლოგიურად სუფთაა, ყველაზე სუფთა წყალი სწორედ მწვანე კონცხთანაა და ეს საზოგადოებრივი სივრცე არ უნდა გასხვისდეს, რადგან, თუ ეს ადგილი კერძო პირის ხელში აღმოჩნდება, იქ შესვლა ჩვეულებრივ ბათუმელებს აეკრძალებათ.

ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე **ლაშა სირაბიძე** კი დარწმუნებულია, რომ აჭარელ ხალხს ინვესტიცია და ახალი პროექტები აინტერესებს, განსხვავებით ოპოზიციისგან, რომელსაც მწვანე კონცხის თემის წამოწევა პოლიტიკური მიზნებისთვის სჭირდება. For.ge-სთან საუბრისას ლაშა სირაბიძე აცხადებს, რომ საკრებულოში შევიდა მოთხოვნა კონკრეტულ მიწებთან დაკავშირებით. კერძოდ, ერთი კონკრეტული მიწა ჩვეულებრივად თანხის საფასურად უნდა შეიძინოს „ბიზნეს დეველოპმენტმა“, ხოლო მეორე ტერიტორია მწვანე კონცხის მიმდებარედ, ე.წ. პლაჟი, ჩვეულებრივად, იჯარით 49 წლით უნდა მიიღოს „ბიზნეს დეველოპმენტმა“.

„ეს პლაჟი მოწესრიგდება, აქ შეიქმნება ინფრასტრუქტურა, მოევლება და აბსოლუტურად ყველასთვის და არა რომელიმე ერთი კომპანიისთვის გამოსადეგარი გახდება. პირიქით, დიდი მადლობა უნდა ვუთხრათ ასეთ კომპანიებს, თუკი სურვილს გამოთქვამენ, მოუვლიან ამ პლაჟებს მთელი ზაფხულის განმავლობაში და აქ იქნება იდეალური მდგომარეობა. რაც შეეხება კონკრეტულად მეორე ფართობს, ანუ 2000 კვ.მ. მიწას, რომლის გასხვისების უფლებაც მერიას მივეცით, ეს მიწა გაიყიდება იმისთვის, რომ საბაგიროსთვის გაკეთდეს შესასვლელი. ეს ქონება ჩვენ არ გადაგვიცია ერთ ლარად, არამედ მივეცით კონკრეტული თანხის საფასურად, რომელიც დადგენილია წესით, შეფასებულია ექსპერტების მიერ და აქ გაკეთდება უახლესი ტექნიკით აღჭურვილი საბაგირო გზა. ეს ყველაფერი ხვალინდელი ტურიზმის განვითარებისთვის აუცილებელზე აუცილებელია“, – აღნიშნა ლაშა სირაბიძემ.

მანვე განმარტა, რომ არც კი მოუკითხავს „ბიზნეს დეველოპმენტის“ წარმომავლობის შესახებ, რადგან მისთვის მთავარია, რა პირობებს შესთავაზებენ კომპანიები და, საბოლოო ჯამში, რას გააკეთებენ. რა პირობითაც „ბიზნეს დეველოპმენტი“ შევიდა ბათუმში, პირველ რიგში, ამ ზღვისპირა ქალაქისა და ჩვენი ქვეყნისთვისაა მნიშვნელოვანი. მით უმეტეს, რომ 30 წლის წინ მიტოვებულ საბაგიროს ახალი საბაგირო გზა ჩაენაცვლება.

ოპონენტების გასაგონად ლაშა სირაბიძე ამბობს, რომ სწორედ ამ ხელისუფლების პერიოდში თითქმის ყველა ობიექტი შეფასდა ექსპერტების მიერ. ამის საპირწონედ კი გვახსენდება წინა ხელისუფლების ქმედებები, როდესაც თითქოს ერთ ლარად გაიცემოდა მიწები, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ყველამ იცოდა, რომ ეს კორუფციის ერთ-ერთ წყარო იყო.

**მანანა ნოზაძე**

## სანთელი

**შალვა მგალობლიშვილი, გიორგი საღარაძე, ჯემალ მებუკე, ბადრი თოფურია, ბეჟან უგულავა, მურმან ბახტაძე თანაუგრძნობენ ვლადიმერ კაკაბაძეს მეუღლის**

**მედიას**

**გარდაცვალების გამო.**

# ...ნაპოლეონის ბიუსტი ოგიუსტ როდენის შედევრი აღმოჩნდა

**წლების მანძილზე აშშ-ის შტატ ნიუ-ჯერსის, ქალაქ მერილენდის რატუშაში მდგარი ნაპოლეონის უცნობი ბიუსტი ლეგენდარული მოქანდაკის ოგიუსტ როდენის აღმოჩნდა.**



2014 წელს არქიტექტორსა და ისტორიკოსს, მელორი მორტილიარის სთხოვეს, გამოეკვლია სკულპტურის წარმომავლობა.

ადგილობრივმა მეცენატებმა ყოველგვარი დოკუმენტაციის გარეშე საჩუქრად გადასცეს საბჭოს შენობას. ამიტომ ან ნივთების ავტორები დღმდე უცნობი გახლდათ.

ერთ-ერთმა თანამშრომელმა გოგონამ სრულიად შემთხვევით აღმოაჩინა 300-კილოგრამიანი ბიუსტის უკანა მხარეს როდენის ავტოგრაფი, რის შემდეგაც დაიწყო მისი ავთენტურობის კვლევა.

როგორც გაირკვა როდენს იგი 1908 წელს შეუქმნია და „ოცნებებში ჩაძირული ნაპოლეონი“ დაურქმევია. მკვლევარებმა როდენის ფოტოც აღმოაჩინეს ქანდაკებასთან ერთად გადაღებული.

დღეს მისი ღირებულება 4-მილიონ დოლარს აღემატება, თუმცა ქალაქის საბჭო მის გაყიდვას არ გეგმავს.

ნაპოლეონის ქანდაკება კვლავ დარჩება რატუშას ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობად.

# 1000-დოლარიანი სენდვიჩი

**ნიუ-იორკის შუაგულში „ტაიმსკვერში“ მდებარე სასტუმრო „The Westin“ სულ მალე თავის კლიენტებს ოქროს სენდვიჩებს შესთავაზებს. ე.წ. „ელიტური სენდვიჩები“ 1000 დოლარი ეღირება.**



ამ ძვირად ღირებულ საკვებს, რამდენიმე სახეობის ყველისგან ტრუფელებისგან და საჭმელად ვარგისი ოქროს ფხვნილისგან დაამზადებენ. აღსანიშნავია, რომ მას მხოლოდ ძვირად ღირებული მეტალი არ აძვირებს. ტრუფელი, როგორც პროდუქტი ერთ-ერთი უძვირესი საკვებია ხიზილალის შემდეგ.

სენდვიჩების რეალიზებას კეთილი მიზნები აქვს. „მშიერთათვის და მდიდართათვის“, ასე ეწოდება ამ 1000-დოლარიან ულუფას, რომლის მთელი მოგება ქველმოქმედებას მოხმარდება.

თუ ამ ძვირად ღირებული პროდუქტის მირთმევას მოინდომებთ, მისი შეკვეთა წინასწარ მოგიწევთ. ნოემბრის თვიდან სენდვიჩები უკვე სასტუმროში გაიყიდება.

# „KINDER SURPRISE“ შოვინიზმში დაადანაშაულეს

**ყველა ბავშვისთვის საყვარელი ტკბილეული „ქინდერის შოკოლადიანი კვერცხი“ – შოვინიზმში, რეტროგრადულობაში, დეგრადაციაში, სექსიზმში და მთელ რიგ ცოდვებში დაადანაშაულეს. სოციალურ ქსელში ატეხილია სკანდალი ამ უვნებელი ნუგბარის წინააღმდეგ.**




„კვერცხი-შოკოლადის“ შუაგულში სათამაშოებია მოთავსებული, ხოლო გარედან ცისფრად და ვარდისფრად არის შეფუთული. ვარდისფერში უფრო გოგონების სათამაშოები ამოდის, ხოლო ცისფერში ბიჭუნების. სწორედ ამ განსხვავებამ აღაშფოთა გენდერული თანასწორობის მომხრეები.

ტკბილეულის მწარმოებელი კომპანია „ფერერო“ აცხადებს, რომ ამ სათამაშოებით გოგო-ბიჭები ერთნაირად ხარობენ და მსგავსი ჩანაფიქრი არც კი ჰქონიათ.

„თუ თქვენს გოგონას სურს პატარა მანქანა, ლურჯ შეფუთვას აირჩევს, თუ ბიჭს გოგოს სათამაშო, მაშინ პირიქით“ ეს ძალიან უმნიშვნელოა, აცხადებენ ნაკლებად პრეტენზიული მომხმარებლები.

**მოამზადა**
**რუსუდან ქოზულიამ**

## ჩვენი კარაბადინი

# მითი... მობილურ ტელეფონზე

**თავის ტვინის სიმსივნეები – ონკოლოგიურ დაავადებათა შორის ყველაზე ნაკლებად შესწავლილ სნეულებათა ჯგუფში შედის და ოდენობრივად ყველაზე მეტ კაცს სჭირს. ამასთან, მათ ირგვლივ უამრავი მითი ტრიალებს, რომლებსაც სინამდვილესთან საერთო არაფერი აქვთ და ზოგჯერ, ხელსაც კი უშლიან ადრეულ დიაგნოსტიკასა და ეფექტიანი მკურნალობის დაწყებას.**

**მითი:** თავის ტვინის სიმსივნე შესაძლოა, ფიჭური ტელეფონის ხშირმა გამოყენებამ გამოიწვიოს. **სინამდვილეში:** ამას ჭეშმარიტებასთან საერთო არაფერი აქვს ისევე, როგორც იმის მტკიცებას, რომ თავის ტვინში ახალწარმონაქმნების გაჩენა შესაძლოა, თავის ტრავმის ან სტრესის შედეგი იყოს. ეს, როგორც წესი, სპონტანური, არაპროგნოზირებადი ვითარებაა. მისი წარმოშობის ერთადერთი მეტ-ნაკლებად დადასტურებული წყარო შეიძლება იყოს ზოგიერთ სხვა ონკოლოგიურ დაავადებათა სამკურნალოდ გამოყენებული სხივური ან ქიმიოთერაპია, თანაც არა ყველა პაციენტში და ისიც, შორეულ მომავალში.

**მითი:** სახიფათოა მხოლოდ თავის ტვინის ავთვისებიანი სიმსივნეები. **სინამდვილეში:** ამ შემთხვევაში კეთილ და ავთვისებიან სიმსივნეებად დაყოფა საკმაოდ პირობითია: ნებისმიერი მათგანი ჯანმრთელობისთვის საშიშია, თანაც დიდი მნიშვნელობა აქვს მის ადგილმდებარეობას.



**მითი:** ტვინის სიმსივნის მთავარი სიმპტომია თავის ტკივილი. **სინამდვილეში:** უფრო ხშირად სიმსივნე თავს იჩენს სხვა სიმპტომებით: მხედველობის დარღვევით (მკვეთრად დაქვეითებით, გაორებით და სხვა), ასევე სმენის კლებით, კიდურების მზარდი პარეზებით (სისუსტით). თუმცა კი ყველაფრის დიფერენცირება მხოლოდ ნევროლოგს ან ნეიროქირურგს შეუძლია.

**მითი:** თავის ტვინის სიმსივნის დიაგნოზი – ესაა განაჩენი. **სინამდვილეში:** სიმსივნეები ერთმანეთისგან დიდად განსხვავდებიან და მათგან ყველა ფატალური ნამდვილად არ არის. ბევრი მკურნალობას ადვილად ექვემდებარება, თუმცა ზოგიერთი სწრაფად მზარდი – წარმონაქმნი უკურნებელია.

**მითი:** თავის ტვინის გამოვლენა რენტგენითაცაა შესაძლებელი. **სინამდვილეში:** არა, ეს ასე არ არის, ტვინის გამოკვლევის ოპტიმალური მეთოდი სადღეისოდ მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიაა (მრტ), თუმცა კი ზოგიერთი პაციენტისთვის (მაგალითად, ვისაც კარდიოსტიმულატორი აქვს ჩადგმული, ძალიან მსუქანია ან კლაუსტიფობიას უჩივის), მისი გამოყენება დაუშვებელია.

**ლალი ხუნდაძე**

# დაკარგული 12 წლის გოგონა მეტროში იპოვეს

**12 წლის გოგონა ქეთევან ქურდოვანიძე, რომელსაც ოჯახის წევრები და სამართალდამცავები ეძებდნენ, იპოვეს.**

„შაბათს, ვაგზლის მოედნის მეტროში იპოვეს, თურმე ტიროდა, ვიღაც გოგონამ კი, პატრულთან მიიყვანა. სახლში მისვლა მეშინია, გამიბრაზდებიანო, უთქვამს“, — განუცხადა „ჯი-ეიჩ-ენს“ გოგონას მამამ მიხეილ ქურდოვანიძემ.

როგორც ის აცხადებს, ქეთევანს სახლიდან წასვლის დღეს სწავლასთან დაკავშირებით გაუბრაზდნენ, რის შემდეგაც ის სახლიდან ჩუმად გაიპარა.



„განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, იმ დღეს დედა გაუბრაზდა სწავლასთან დაკავშირებით, მას კი პროტესტი გაუჩნდა და სახლიდან ჩუმად წავიდა“, — აცხადებს ქურდოვანიძე.

# ბუკინისტი იყიდის:

**მე-18-მე-19 საუკუნეში გამოშვებულ წიგნებს — 1500 ლარად, საბჭოთა კავშირში გამოშვებულ ფაიფურის სტატუეტებს — 200 ლარად, ძვირად იყიდის 1945 წლამდე გამოშვებულ ჟურნალებს, მისალოც ბარათებს, გრავიურებს, ნახატებს, ხელნაწერებს, პლაკატებს, საბავშვო წიგნებს, მოვერცხლილ ან ვერცხლის ჭურჭელს.**





**591-75-35-38.**

# იცით თუ არა, რომ...

• **თუკი** მეუღლეთაგან ერთ-ერთ თავისი რომელიმე მშობელზე ემოციურადაა დამორჩილებული, სრულფასოვანი ოჯახის შექმნა დიდად სათუოა, თანაც ყველაზე მეტი პრობლემა მარტოხელა დედების ქალ-ვაჟებს წარმოეშვებათ?

• **მეზობლებთან** ურთიერთობა სასარგებლოა ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობისთვის, თანაც უამრავი ყოფითი პრობლემის გადაჭრაში გვეხმარება?



• **სახელგანთქმულ** მუსიკოსს ნიკოლო პაგანინის თანამედროვე კრიტიკოსებმა „ვიოლინოს დემონი“ შეარქვეს?

• **არ** ღირს ქლორირებული წყლის ორჯერ ადუღება, რადგან დუღილის დროს შხამი დიოქსინი გამოიყოფა, რომელიც კიბოს წარმოშობას პროვოცირებს?

• **როცა** 1739 წელს სპარეთის შაჰინშაჰმა ნადირმა დიდი მოგოლების იმპერიის დედაქალაქი დელი დაიპყრო, ნადავლი იმდენად დიდი იყო, რომ ისფაჰანში მის გადასაზიდად საჭირო გახდა ასი ათასი სპილოს, აქლემისა და ცხენისგან შემდგარი ქარავანის შედგენა?

• **მაიმუნების** დასაჭერად მონადირეები ხშირად ლუდს იყენებენ?

# თუ სავსე მკერდი გაქვთ...



**ჩინეთის სამხრეთის ქალაქ ჰანჯოუს ერთ-ერთ რესტორანში ქალებისთვის გარკვეული შეღავათებია დაწესებული, რომელთა სიდიდე მანდილოსნის მკერდის ზომაზეა დამოკიდებული(!) მისი მეპატრონის თქმით, სიახლის შემოღების შემდეგ რესტორნის შემოსავალი 20 პროცენტით გაიზარდა. ეს, როგორც ჩანს, იმან განაპირობა, რომ კლიენტებს შორის ფაშფაშა მკერდიანი ქალბატონების რიცხვმა იმატა.**

# ლუდის შემდეგ

**კათხა ლუდს ან ჭიქა ღვინის დალევას ადამიანის შემოქმედებითი პოტენციალის გახსნა შეუძლია, მიაჩნიათ ავსტრიელ მეცნიერებს.**

ექსპერიმენტების მსვლელობისას გაირკვა, რომ კათხა ლუდის ან ჭიქა ღვინის დალევის შემდეგ მოხალისეები უკეთ ასრულებდნენ შემოქმედებით აზროვნებასთან დაკავშირებულ დავალებებს, დაყენებულ ამოცანას ორიგინალურად წყვეტდნენ და ალტერნატიულ გამოსავლებსაც უფრო ადვილად აგნებდნენ.



მაგრამ, ნეგატიური მხარე ისაა, რომ ალკოჰოლი აუარესებდა ყურადღებას იმ შემთხვევაშიც კი, თუკი სისხლში მისი კონცენტრაცია 0,03 პროცენტს შეადგენდა, რაც მამაკაცისთვის კათხა ლუდის ან ჭიქა ღვინის, ქალისთვის კი ამ ულუფის ნახევრის მოხმარების შემდეგ ჩნდება.

## გასაცინებელი ა(მ)ბები

### „უოლდორფ-ასტორია“

**ნიუ-იორკში დიდად ცნობილ რესტორან „უოლდორფ-ასტორიაში“ მავანი ჩაკურატებული ბიძა იჯდა და მოსაჩვენებლად კმაყოფილებისგან სახეგაბადრული ძვირად ღირებულ კერძს მიირთმევდა. მერე ოფიციანტს დაუძახა და ყველაზე ძვირფასი კონიაკის მოტანა სთხოვა.**

— თუ გახსოვთ, — უთხრა მან ოფიციანტს, — ზუსტად ერთი წლის წინ ასეთივე სადილით გამიმასპინძლდით თქვენს ჩინებულ რესტორანში, მაგრამ ვინაიდან გადასახდელი ფული ჯიბეში არ აღმომაჩნდა, ძალღივით გამიძახეთ ქუჩაში.

— ძალიან უსიამოვნო რამ მითხარით... — წაილუღლუღა შეშინებულმა ოფიციანტმა.

— არა უშავს რა, არა უშავს რა, — სიტყვა გააწყვეტინა ჩაკურატებულმა კაცმა, — ჩემთვისაც უსიამოვნო იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, კიდევ ერთხელ მომიწევს თქვენი უსიამოვნება!..

### ჰოლივუდი

**ჰოლივუდის კლუბის მოსაწევ ოთახში ორი უზადოდ ჩაცმული ჯენტლმენი იჯდა.**

— ალო, შენ, — თქვა ერთ-ერთმა, — გაიგე სულ ბოლო სენსაცია?

— რა სენსაცია?

— ჰოვარდი ხვალ ცოლად ირთავს მსოფლიო გოგოს — მერი ჰოპკინს.

— მერი ჰოპკინსს? ვინ არის?

— ნუთუ მართლა არ იცი? ერთი თვის წინათ ეგ ცნობილ რეჟისორს ჯო ჰოპკინსს გაეყარა.

— ეგ გვარი და სახელი არც არაფერს არ მეუბნება.

— სანამ ჰოპკინსს გაეყრებოდა, ჯონსის ცოლი იყო.

— არა, მაგ ქალს არ ვიცნობ.

— ...მანამდე უმდიდრესი გამომცემლის მაკფერდის ცოლი იყო...

— გაგებაში არა ვარ...

— შეუძლებელია, მაგ ქალის შარშანწინდელი ამბავი მაინც არ გაგიგია?! მაშინ ეგ დიდი ხმაურით გაეყარა ლორდ მერფის მხატვარ ოპატრიკის გამო.

— შენც ხარ, რა! რატომ მაშინვე არ მითხარი, რომ ჰოვარდი ჩემს პირველ ცოლს ირთავს...

### უტყუარი ხერხი

**ერთ მღვდელს ჰკითხეს, რა უტყუარი ხერხი იცი, რომ კაცი ეგრევე სამოთხეში მოხვდესო.**

— ყველაზე უტყუარი ხერხი, — არც დაფიქრებულა, ისე უპასუხა მღვდელმა, — ის არის, რომ წამისუმალ დაამუხრუჭო დაქანებულ მოლიპულ მოსახვევში.

### რატომ ირთავს კაცი ცოლს

**ინგლისში იმიტომ, რომ თავისი მოვალეობა მოიხადოს.**

საფრანგეთში იმიტომ, რომ ოჯახში ფრანგული სამზარეულო ჰქონდეთ.

ჰოლივუდში იმიტომ, რომ ვიღაცას ხომ უნდა გაეყარონ.




საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოზულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.4894; ევრო - 2.9240;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2783;
100 რუბლი - 4.3300; თურქული ლირა - 0.6725;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4629;
1000 სომხური დრამი - 5.1755.

**ამინდი 25 ოქტომბრისთვის**

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +6, | დღე +25 |
| მთიანი რაიონები - | ღამე 0, | დღე +24 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +10, | დღე +28 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +5, | დღე +25 |
| თბილისი: | ღამე +11, | დღე +23 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge